



ახალი განათლება

№20 (574) გაგონის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

საუბრაპი პიპლიაზა

ოქროს ხმო

გვერდი 4

ვეთოლიკა

ფიზიკის პედაგოგთა
დასახელებლად

გვერდი 5

იურიტის კონსულტაცია

პედაგოგთა
შეკითხვებს პასუხობს

სემთა-ს იურიტი

თაქარ აპალიანი

გვერდი 8

სკოლატი

უნივერსიალა - 2012

გელეოსანთა სტარტები

გვერდი 10



მე ლაგაზი აღაგინანაზის ხატვა მიყვანს!

ეს სიტყვები მე-20 საუკუნის ქართველ მხატვარს ლადო გუდიაშვილს ეკუთვნის. მხატვარი მემათინა - ასე იხსენებენ საქართველოში მას. მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალუბა, მხატვრულ სახეთა მდიდარი სამყარო მისი შემოქმედების წარმატების მიზეზია. ლადო გუდიაშვილმა ფუნჯით გააცოცხლა ქართული ფრესკა და ჩუქურთმა, ქართული თქმულებები და ზღაპრები, ძველი თბილისის გოგამური ცხოვრება და ხალხური სანახაობები, ნიკო ფირცხალაშვილის შემოქმედება და ადამიანთა გედი, 20-30-იანი წლების რეალური სინამდვილე... ეს ის ძირითადი თემებია, რომლებსაც მხატვრის შემოქმედებაში

მედებავი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი მრავალფეროვანი და მომხიზველი ნაშრომები ლაგაზი, სათნო, კეთილშობილუბითა და ამაღლებული გრძნობებით სავსე პერსონაჟებით გამოირჩევა. მხატვარმა დროს გაუსწრო, მის ტილოებზე მოციმციმე მზის სხივები, წლის ნებისმიერ დროს ატეობს ადამიანს, მასზე გვერს წერენ და საუბრობენ... დღეს კი, მის შესახებ გვიანობს მისი შვილი ჩუქურთმა გუდიაშვილი.

გვერდი 6-7

გამოვიდა



ნიკოლაი გოგოლი
რჩეული
მოთხრობები

ვილჰელმ ჰაუზი
ლიხტენშტაინი

თეოდორ დრაიზერი
დაიკო კერი

სერიიდან
მსოფლიო
ლიტერატურის
კლასიკოსები



გთავაზობთ ტესტების კრებულს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საათესტატო გამოცდის მოთხოვნებს



წიგნი I - ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II - „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III - XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომარეთელი

თითოეული კრებულის ფასი - 10 ლარი

- ◆ კრებულში ნახვით თითქმის ყველა საკვარადო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- ◆ მათი მეშვეობით გაგიაღვილდებათ საკვარადო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- ◆ სწორი პასუხების შემოსაზრის შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- ◆ თქვენ შექვებთ დაქლით ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

ინფორმაცია



მეთორმეტეკლასელთა საატესტატო გამოცდების მიმდინარეობას, საქართველოს მასშტაბით, online რეჟიმში სახლიდან გაუსვლელად შეგიძლიათ უყუროთ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ facebook-ის გვერდზე - www.facebook.com/emis.ge. პროცესის გამჭვირვალობისათვის სკოლებში გამოცდების მიმდინარეობას სპეციალურად დამონტაჟებული ვიდეოკამერები იღებს. Facebook-ის გვერდზე, მონაცვლეობით, საკლასო ოთახებში დამონტაჟებული ვიდეოკამერების გამოსახულებას online რეჟიმში შემოგთავაზებთ. საატესტატო გამოცდები ე.წ. CAT-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ტარდება. CAT-ის სისტემა გულისხმობს მოსწავლის შესაძლებლობაზე ორიენტირებულ ადაპტირებულ ტესტს. ასეთი ტესტირება მსოფლიოში კარგადაა აპრობირებული. თუმცა, საქართველო პირველია, სადაც ასეთი მასშტაბური გამოცდა ცენტრალიზებულად, მთელი საქართველოს მასშტაბით, ერთიანი მართვისა და კონტროლის პირობებში, უკვე მეორე წელია ტარდება.

2011-2012 სასწავლო წლის გამოსაშვები გამოცდები, 21 მაისს დილის 9 საათზე, საქართველოს ყველა სკოლაში, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყო. სკოლები ტექნიკურად გამართულია და მზად არის გამოცდების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

21 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი გამოცდების მიმდინარეობას თბილისის 49-ე საჯარო სკოლაში აკვირდებოდა. რეგიონებში იმყოფებიან მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები. ნებისმიერი ხარვეზის დროულად აღმოფხვრის მიზნით, მობილიზებულია ყველა შესაბამისი სამსახური.

გამოცდების განრიგი ასეთია: 22 მაისი - უცხო ენა; 23 მაისი - ისტორია; 24 მაისი - გეოგრაფია; 25 მაისი - ფიზიკა; 28 მაისი - ქიმია; 29 მაისი - ბიოლოგია; 30 მაისი - მათემატიკა.



19-20 მაისს, ბათუმში საერთაშორისო ეროვნულმა ასოციაციამ (NASRO) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საერთაშორისო კონფერენცია „უსაფრთხო სკოლა“ გამართეს, რომლის მიზანი იყო სასკოლო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს გამოცდილების სხვა ქვეყნებისთვის გაცნობა.

ორი წლის განმავლობაში, საქართველოს მანდატურის სამსახურის მიერ, „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფციის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს არაერთი ქვეყანა იზიარებს. გასულ წელს საქართველო მანდატურის საერთაშორისო ეროვნული ასოციაციის (NASRO) წევრი გახდა.

ბათუმის კონფერენციაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, საერთაშორისო ეროვნული ასოციაციის (NASRO) აღმასრულებელი დირექტორი ჯეიმს კენედი, ლიტვის განათლების მინისტრი გინტარას სტეპანავიჩუსი, სომხეთის, ყირგიზეთისა და მოლდოვას განათლების მინისტრების მოადგილეები, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ეკატერინე ზღულაძე, მთავარი პროკურორის პირვე-

ლი მოადგილე დავით საყვარელიძე.

კონფერენცია საზეიმო ვითარებაში, საქართველოსა და აშშ-ს სახელმწიფო ჰიმნებით, გაიხსნა. დიმიტრი შაშკინმა კონფერენციაზე განათლების სისტემის ფართომასშტაბიანი რეფორმების მნიშვნელობასა და „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფციის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა. მან შეაჯამა ქართული მანდატურის სამსახურის მუშაობა 2 წლის განმავლობაში და აღნიშნა, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ძალადობა სკოლებში 94%-ით, ხოლო განძალიზმი 98%-ით შემცირდა.

კონფერენციაზე პოლიციის აკადემიის რექტორმა ხატია დეკანოიძემ და დავით საყვარელიძემ პრეზენტაციები წარმოადგინეს. მათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, შსსა და იუსტიციის სამინისტროების ერთობლივ პროექტებსა და სკოლებში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრე-



ვენციის ერთობლივ პროგრამებზე ისაუბრეს. ქართული მანდატურის სამსახურის საქმიანობის ამსახველი პრეზენტაცია წარმოადგინა სამსახურის უფროსმა ზვიად ხიდელუმა.

7 მაისიდან თანამედროვე სტანდარტების ფოთის პროფესიულ კოლეჯში „ფაზისი“ ვაუჩერული დაფინანსების ახალი პროექტის ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტები შეუდგნენ სწავლას. მათ შორის 48 დევნილის სტატუსით სარგებლობს, მათგან 20 სოციალურად დაუცველია, შესაბამისად, ისინი ვაუჩერებით დაფინანსდნენ.

დევნილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი ფოთის პროფესიულ კოლეჯში ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ და დევნილ სტუდენტებს შეხვდნენ და მათთან ერთად სასწავლო სახელოსნოები დაათვალიერეს.

კოლეჯი „ფაზისი“ მომსახურების, მშენებლობისა და ტურისტების სფეროსთვის ამზადებს შემდეგ სპეციალისტებს: ძრავის შემკეთებელი; სავალი ნაწილის ტექნიკოსი; მებათქაშე; შემდგომელი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი; სარესტორნო საქმის მწარმოებელი; დურგალი; ელექტრიკოსი; სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი; ზეინკალ-სანტექნიკოსი; მეფილე-მომპირკეთებელი; რკინა-ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი; ვიდი; ტუროპერატორი; კონდიტერი და სხვ.

პრეზიდენტის ინიციატივით, წელს პირველად, პროფესიული განათლება ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადავიდა. სახელმწიფო, ყველა მსურველს, ვინც პროფესიულ კოლეჯში სწავლას გადაწყვეტს, ათასლარიანი ვაუჩერით აფინანსებს. წლის განმავლობაში ვაუჩერული დაფინანსებით 7 000 ადამიანი ისწავლის. ახალი პროექტის ფარგლებში, პირველ რიგში, სოციალურად დაუცველი სტუდენტები ფინანსდებიან.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი პროფესიულ კოლეჯში „ახალი ტალღა“ ვაუჩერული დაფინანსების ახალი პროგრამის ფარგლებში ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს შეხვდა. ამ კოლეჯში 1000-ლარიანი ვაუჩერით დაფინანსებული 111 სოციალურად დაუცველი სტუდენტი შეუდგა სწავლას. მათი უმრავლესობა მაღალმთიანი აჭარიდან, გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და სვანეთიდანაა. მათ კოლეჯის თანამედროვე სტანდარტების ახალი საერთო საცხოვრებელი მოემსახურება. ქობულეთის პროფესიულ კოლეჯში ვაუჩერული დაფინან-



სებით სულ 250 სტუდენტი ჩაირიცხა. კოლეჯში სპეციალობები აჭარის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული გეგმიდან გამომდინარე შეირჩა შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე: სასტუმრო საქმის მწარმოებელი, მზარეული, კონდიტერი, ტუროპერატორი (აგრო, ეკო და ა.შ.), ბარმენი, მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი, ამნის მემანქანე, თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი, ელექტრიკოსი, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი, სარესტორნო საქმის მწარმოებელი. სამინისტროს დაფინანსებით, კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ინვენტარითაა აღჭურვილი. პრაქტიკული სწავლებისათვის მოწყობილია და ფუნქციონირებს სხვადასხვა ლაბორატორია და სახელოსნო.

ცენტრში განახლებული პროგრამებით გადამზადებულ სტუდენტთა 75% უკვე დასაქმებულია სასტუმროებში: „შერატონ ბათუმი“, „რედისონი“, „ჯორჯიან პალასი“, „პიაცა“, „ბონი“, „ოაზისი“, „ელბაკური“, „სავანე“ და სხვ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, არაქართულენოვანი საჯარო სკოლების პირველ კლასში ჩატარდა ეროვნული შეფასება ქართულ ენაში.

ეროვნული შეფასება ფართომასშტაბიანი კვლევაა, რომლის მიზანია ქვეყანაში ზოგადი განათლების ხარისხის შეფასება. ჩატარებული ეროვნული შეფასება კი მიზნად ისახავს, დაადგინოს, რამდენად წარმატებულია არაქართულენოვან საჯარო სკოლებში 2011-2012 სასწავლო წელს განხორციელებული რეფორმები.

პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი - „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ - ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში წარმატებით მიმდინარეობს. მის ფარგლებში, არაქართულენოვან მოსწავლეებს სახელმწიფო ენის შესწავლაში მოხალისე ქართულენოვანი პედაგოგები ეხმარებიან. ქართული ენის გაძლიერებულად შესასწავლად კი, სპეციალურად მათთვის, ქართული ენის სახელმძღვანელო შეიქმნა.



სკოლები მთელი საქართველოს მასშტაბით შეირჩა, შემთხვევითობის პრინციპით. ეროვნულ შეფასებაში მონაწილეობვა 73 არაქართულენოვანი საჯარო სკოლის 1000 პირველკლასელი, მათი მშობლები, ქართული ენის 100 მასწავლებელი, 100 ქართულენოვანი მოხალისე და სკოლების დირექტორები (73).

ეროვნული შეფასებისას მოსწავლეებმა ტესტური დავალებები შეასრულეს და კითხვარები შეავსეს. ეროვნული შეფასების უფროსმა მონაწილეებმა (მშობლებმა, ქართული ენის მასწავლებლებმა, ქართულენოვანმა მოხალისეებმა და დირექტორებმა) სპეციალური კითხვარები შეავსეს, ქართული ენის სწავლებისა და გატარებული რეფორმების მიმართ თავიანთი დამოკიდებულება გამოხატეს.

ეროვნული შეფასების შედეგად გამოვლინდება, რამდენად ეფექტურია არაქართულენოვან სკოლებში დანერგილი სიახლეები, როგორია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დონე ქართული ენის შესწავლის მხრივ, როგორია შეფასებაში მონაწილე ჯგუფების დამოკიდებულება გატარებული რეფორმების მიმართ. ივნისის დასაწყისიდან მომზადდება ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები.

ჩვენ საქართველოს შვილები ვართ!



საქართველოში საჯარო სკოლის ნებისმიერი მოსწავლისათვის, მიუხედავად იმისა დედაქალაქში სწავლობს თუ მალაქმთიანი რეგიონის სოფელში, ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საქართველოს რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში პროფესიონალი კადრების მოზიდვისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, რომელიც ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან დაბა ჩაქვის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა **ინგა ბაგრატიონმა** მიიღო მონაწილეობა და განაწილდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ალასტანის სომხურენოვან საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ინგა ბაგრატიონი: „პროექტის სახელმძღვანელო თავედანვე მომხიბლა. როდესაც ვპასუხობდი კითხვას, რატომ მიინდომეთ ამ პროექტში მონაწილეობა, აღვნიშნე, რომ ეს ერთგვარი გამოწვევა იყო, თუმ-

ცა, ჩემი გადაწყვეტილება საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქმე, რომელსაც პროექტის მონაწილეები ვაკეთებთ, ქვეყნის მომავალს წაადგება!“

პირველად ჩაქვის №1 საჯარო სკოლაში ნოემბრის თვეში უმასპინძლა სოფელ ალასტანის საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. გიორგობის დღესასწაულს კი ალასტანის საჯარო სკოლაში ჩაქველი მოსწავლეები და მასწავლებლები მიიწვია მშობლიურ სოფელში.

დამეგობრებული სკოლის მოსწავლეებმა ერთობლივი ღონისძიება გამართეს „ჩვენ – საქართველოს შვილები ვართ“, რომელიც საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ქართველთა და სომეხთა ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთი დასტური იყო.

ხალხით სავსე დარბაზში საოცარი მოლოდინი იგრძნობოდა. სცენაზე ერთმანეთს ქართველი და სომეხი გოგო-ბიჭები ენაცვლეოდნენ, რომლებიც საუბრობდნენ ორი ენის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შესახებ, რომელიც დასაბამს იღებს ლეგენდარულ შაოსიდან და ქართლოსიდან. დარბაზი



სომეხი ხალხის მეგობრობის ისტორიისა და რომ ჩვენი მოსწავლეები უნდა იყვნენ ღირსეული გამგერძელები იმ დიდი ტრადიციისა, რომელსაც ეს ორი ერი საუკუნეების მანძილზე რუდუნებით იცავდა. ვერ დამალეს ემოციები მასპინძლებმა – **ჰამლეტ მოვსესიანმა**, **სამველ პეტროსიანმა** და **რუბენ კრტიჩიანმა**, მადლობა გადაუხადეს დამსწრე საზოგადოებას, წარმატებები უსურვეს მოსწავლეებს და მომავალში მსგავსი ღონის-

ძიებების გაგრძელების იმედი დაემშვიდობნენ. მეორე დღეს, მასპინძლებმა ჩაქველი მოსწავლეები ვარძიაში მიწვიეს და მთელი დღე ამ ისტორიულ ადგილას ერთად გაატარეს და მრავალი საინტერესო გეგმებითა და იდეებით შეჯერებულნი დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

გიული დავითიძე
ჩაქვის №1 საჯარო სკოლის ხელოვნების ისტორიის



ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შამუკინმა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ სასკოლო საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული 95 მოსწავლე ფულადი პრემიებითა და სიგელებით დასაჩუქრეს. ოლიმპიადებში ოთხმა მოსწავლემ ერთდროულად ორ საგანში გაიმარჯვა. ფულადი პრემიების დასაჯერებლად ორ საგანში გაიმარჯვა. ფულადი პრემიების დასაჯერებლად ორ საგანში გაიმარჯვა. ფულადი პრემიების დასაჯერებლად ორ საგანში გაიმარჯვა.



გიორგი ცხაკაია – პირველ ადგილზე გავიდა გეოგრაფიასა და ისტორიაში (ქუთაისის რაზმადის სახ. №41 საჯარო სკოლა);
ნიკა საბაშვილი – პირველ ადგილზე გავიდა გეოგრაფიაში, მეორეზე – ბიოლოგიაში (სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა);
გიორგი სხირტლაძე – პირველ ადგილზე გავიდა მათემატიკაში, მეორეზე – ინფორმატიკაში (კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა);
გურამ ლობჯინიძე – მეორე ადგილზე გავიდა ბიოლოგიაში, მესამეზე – გეოგრაფიაში („მომავლის სკოლა“).
ფულადი პრემიები გადაეცა ნარმატებული მოსწავლეების სკოლებსაც.
2011-2012 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში პირველ ადგილზე გასულ 32 მოსწავლეს, თითოეულს, 1000 ლარი გადაეცა; მეორე ადგილზე გასულ 32 მოსწავლეს, თითოეულს – 700 ლარი; მესამე ადგილზე გასულ 31 მოსწავლეს, თითოეულს – 500 ლარი. სკოლების რეიტინგის მიხედვით, პირველ ადგილზე გასულ 9 სკოლას, თითოეულს, 5000 ლარი გადაეცა; მეორე ადგილზე გასულ 9 სკოლას, თითოეულს – 4000 ლარი; მესამე ადგილზე გასულ 9 სკოლას, თითოეულს – 3000 ლარი.

2012 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში უპრეცედენტო რაოდენობა – 265 000 მოსწავლე მონაწილეობდა. მათგან მეორე ტურში 52 610 მოსწავლე გადავიდა, ხოლო მესამეში – 2293. ოლიმპიადის შესარჩევი პირველი ტური უშუალოდ სკოლებში ჩატარდა. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე და მესამე ტური სამინისტროს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა, მეორე ტური 65 ქალაქისა და რაიონული ცენტრის 91 სკოლაში მიმდინარეობდა.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ყოველწლიურად, შემდეგ საგნებში ტარდება: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხოური ენები, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინფორმატიკა. ოლიმპიადის 3 ტურად ტარდება როგორც ქართულ, ასევე სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. დასკვნით ტურში გამარჯვებული 10 მოსწავლე ეროვნული ნაკრების წევრი ხდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობს.

ყოველწლიურად იზრდება ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეთა რიცხვი და მათი მომზადების დონე, რაც ზრდის კონკურენტუნარიანობას. გამარჯვებული მოსწავლეებით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები, ტრადიციულად, საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობს.

სერტიფიცირებულმა პედაგოგებმა ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული გამოცდა ჩაატარეს. გამოცდა წელს მეორედ ჩატარდა და მასში 1600-ზე მეტი სერტიფიცირებული პედაგოგი მონაწილეობდა. პედაგოგთა 54%-მა გამოცდა წარმატებით ჩაატარა. გასულ წელს მხოლოდ 23%-მა შეძლო ბარიერის გადალახვა. ახალი სასწავლო წლიდან ეს პედაგოგები, ხელფასზე დანამატის სახით, 200 ლარს მიიღებენ, ხოლო მათ, ვინც საუკეთესო 25%-ში მოხვდა, ხელფასი 1000 ლარი გაუზრდება.

2011 წელთან შედარებით წელს გამოცდებში მასწავლებელთა გაზრდილი რაოდენობა მონაწილეობდა და უმრავლესობამ წარმატებით გადალახა ბარიერი. გამოცდების მაღალი შედეგები პრეზიდენტის მიერ ინიცირებულმა პროექტმა „ას-

წავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულმა ეფექტურმა ტრენინგებმა განაპირობა. პედაგოგისთვის, ასევე, დიდი მოტივაციაა გაზრდილი ხელფასი.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ სხვადასხვა საგნის პედაგოგებისთვის ინგლისურენოვან უცხოელ მოხალისე პედაგოგებთან ურთიერთობა საკმაოდ ნაყოფიერია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ურთიერთობა რეგიონის პედაგოგებისთვის.

ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული გამოცდისას საგამოცდო ტესტით ერთდროულად მონაწილეობდა როგორც ინგლისურის, ისე კომპიუტერის ცოდნა. მასწავლებელი გამოცდას კომპიუტერის საშუალებით ატარებს. დავალებების შესრულებისას პედაგოგს შეუძლია გამოიყენოს ინტერნეტში არსებული რესურსები: ლექსიკონები, საძიებო სისტემები და ა.შ.

გამოცდის მიზანია, შემომხედს, შეუძლია თუ არა პედა-



გოგს პროფესიული განვითარებისა თუ სწავლების პროცესისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიება, რომელიც მხოლოდ ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი. ამისათვის პედაგოგს ინტერნეტის გამოყენება და კომპიუტერული საოფისე პროგრამების ფლობა მოეთხოვება.

საუბრაო ბიზლიაზე

ოქროს ხბო



რუბრიკას უძღვება მამა თამაზიძე

ორმოცი დღე დარჩა მოსე სინაის მთაზე.

რიცხვი 40 მოსესთან მიმართებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს: ორმოცი წლის იყო, როდესაც საკუთარ ხალხს გამოესარჩლა და დატოვა ეგვიპტე; ოთხმოცი წლისას გამოეცხადა აალებულ მაცხოვრებელში უფალი; ორმოცი წელი უნდა ეხეტიალა ებრაელ ხალხს მოსეს წინამძღოლობით უდაბნოში, ვიდრე კუთვნილ მიწაზე დასახლებულა; ორმოცი დღე დაჰყო მან სინაის მთაზე. ორმოცი დღე ისმენდა უფლის სიტყვას ხალხის მომავალი ცხოვრების მოწყობის და წესების შესახებ.

ამასობაში, მოსეს მომლოდინე ხალხს მოთმინებამ უმტყუნა, შიშმა და სასონარკვეთამ დარია ხელი და სულ უფრო ხმამაღლა ითხოვდნენ ეხილათ ღმერთები, „რომლებიც წინ მიგვიძღოდნენ, რადგან არ ვიცით, რა დაემართა იმ კაცს, მოსეს, რომელმაც ეგვიპტიდან გამოგიყვანა“ (გამ. 32:1) და მიადგნენ ამ მოთხოვნით მოსეს ძმას, აარონს. აარონმა იცოდა, რომ მოსე ორმოცი დღის მერე დაბრუნდებოდა მთიდან, მაგრამ არ ეყო ძალა შეეკავებინა აბოპოქრეული ბრბო. ის დროის გაყვანას შეეცადა, დაჰყვა ხალხის ნებას და უხილავი უფლის საცვლოდ ხილული კერპის დამზადება შესთავაზა.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით არსებობს ორი თვალსაზრისი: პირველის თანახმად, აბოპოქრეული ბრბო სწორედ ის „ჭრელი ხალხი“ გახლდათ, ვინც ებრაელებთან ერთად დატოვა ეგვიპტე და მათთან ერთად დააღწია თავი მონობას. მათ ხმა დაარხიეს, რომ მოსე თავის ხალხს აღარასდროს დაუბრუნდებოდა, ამიტომ ახალი წინამძღოლი ესაჭიროებოდათ. მეორე თვალსაზრისი არ გამოორიცხავს კერპის მომთხოვნე უცხოტომელთა გვერდით ებრაელთა დიდი ნაწილის მონაწილეობასაც. ამის დასტური ბიბლიაშია: ებრაელი ხალხი უარს აცხადებს უფლის წესების მორჩილებაზე. უფალი ხაზგასმით მიანიშნებს მოსეს: „უთხრა უფალმა მოსეს: ძირს ჩადი, რადგან გაირყვნა შენი ხალხი, რომელიც ეგვიპტიდან გამოიყვანე. მალე გადაუხვიეს გზიდან...“ (გამ. 32:7-8).

„უთხრა მათ აარონმა: დახსენით ოქროს საყურეები თქვენს ცოლებს, ვაჟებსა და ასულებს და აქ მომიტანეთ“ (გამ. 32:2). ფერემ ასურის აზრით, აარონს ეიმედებოდა, რომ ხალხი ვერ შეელოდა ძვირფასეულობას, მაგრამ ამჯერადაც შეცდა: მამაკაცებმა მამინათვე მოიხსნეს ოქროს სამკაულები და ქალებიც მალევე დაიყოლიეს. დაიხსნა ხალხმა საყურეები, ბეჭდები, თუკი რამ ძვირფასი ჰქონდათ და მიუტანა აარონს. გამოართვა აარონმა, ჩაყარა გადასადნობად დიდ კასრში, საჭრეთელით გამოსახა ხბოს სახე და გამდნარი ოქრო ყალიბში ჩამოას-

ხა. შექმნა აარონმა ოქროს ხბო, დაუდგა ხალხს და ამცნო – „...ესენი არიან, ისრაელი, შენი ღმერთები, რომლებმაც ეგვიპტიდან გამოგიყვანეს“ (გამ. 32:8). ხალხმა, რომელიც მინდობილი, ერთგულად მიჰყვებოდა ნათლის სვეტს და თავისი თვლით იხილა უამრავი სასწაული, კვლავ უღალატა უფალს, კვლავ განუდგა მას და მრავალღმერთიანი ეგვიპტის კერპებს მიუბრუნდა. ოქროს ხბო კი პირდაპირ კავშირშია ეგვიპტის მითოლოგიასთან: თაყვანისცემის ხატი მემფისში, შავი ხარი ანისი, ხოლო ჰელიოპოლისში თეთრი ხარი მნევისი იყო. ეგვიპტური ტრადიციის ანარეკლია ოქროს ხბოს საპატივსაცემოდ გამართული ღმერთი: „ვისი (უფლის – მ.თ.) მორჩილება არ ისურვეს ჩვენმა მამებმა, არამედ განუდგნენ და ეგვიპტისაკენ მიიქცნენ თავიანთი გულით“ – ნათქვამია საქმენში (7:39).

აარონი კიდევ ერთხელ შეეცადა, ხალხი დაეყოვნებინა, კერპთაყვანისცემლობის რიტუალს წინ აღდგომოდა – „... სამსხვერპლო ააგო მის წინ. გამოაცხადა აარონმა და თქვა: საუფლო დღესასწაულია ხვალი!“ (გამ. 32:5).

მეორე დღეს, დილაადრიან შესწირეს ებრაელებმა სამსხვერპლოზე აღსავლენი, მიიტანეს სამადლობელი მსხვერპლი, დაპურდნენ და შეთვრნენ, მერე ადგნენ და ცეკვა-თამაში გამართეს.

ებრაელებმა უფლის მცნება დაარღვიეს! – „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე“;

– „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რადგან არს ცათა შინა ზე, და რადგან არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რადგან არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანისა: არა თაყვანისცე მათ, არცა მსახურებდ მათ“.

შეატყობინა უფალმა მოსეს ხალხის უმსგავსო საქციელი. განრისხდა უფალი: „მალე გადაუხვიეს გზიდან, რომელიც დაევადგინე. ჩამოასხეს ხბო, თაყვანს სცემენ მას და მსხვერპლს სწირავენ. ამბობენ: ესენი არიან, ისრაელი, შენი ღმერთები, რომლებმაც ეგვიპტიდან გამოგიყვანეს... ახლა მიმიშვი, რათა აინთოს ჩემი რისხვა მათზე და გადავბუგო, შენ კი დიდ ხალხად გაგხადო“ (გამ. 32:8,10). ნათლად ჩანს, რომ უფალს აბრაამის თესლის ამოწყვეტა განუზრახავს, ვერ იკურთხება მისგან ეს ხალხი, რადგან გადაუხვიეს მათ უფლის გზას, აღარ გამოდგება ის რჩეულ ერად, ვერ შესრულდება აბრაამის, ისააკის, იაკობისათვის მიცემული აღთქმა და სთავაზობს მოსეს ახალი, მისგან წარმოქმნილი ხალხის გამრავლებასა და უფლის გზით ტარებას. „ვედრება დაუნყო მოსემ უფალს, თავის ღმერთს და უთხრა: რისთვის უნდა აინთო რისხვით, უფალო, ამ ხალხის მიმართ, რომელიც ეგვიპტიდან გამოგიყვანია დიადი ძალითა და მაგარი მკლავით. რისთვის უნდა ათქმეინო ეგვიპტეს, დასაღუპავად გაიყვანაო ისინი, რომ მთებში ამოეხოცა და მინის პირიდან აღეგავაო. დაიცხრე რისხვა და თავი შეიკავე ამ ხალხის დაღუპვისაკენ“ (გამ. 32:11-12) – გამოესარჩლა მოსე ხალხს; აბრაამს, ისააკსა და იაკობს ახსენებდა და მათი სახელით ხალხის საქციელის გამო

შენდობას ითხოვდა: „გაიხსენე აბრაამი, ისააკი და ისრაელი, შენი მორჩილნი, რომელთაც შენ თავი დაუფიცე და უთხარი: ცის ვარსკვლავებით გაგიმრავლებთ შთამომავლობას და მივცემ მთელს ამ აღთქმულ მიწას თქვენს შთამომავლობას, რომ სამარადისოდ დაიმკვიდრონ“ (გამ. 32:13).

ბოლოს შერბილდა უფლის რისხვა, რადგან მოსეს არგუმენტები სრულიად ეთანხმებოდა უფლის განგებას. მოსემ გამოითხოვა ხალხისთვის უფლის პატივება: „პირი იბრუნა მოსემ და ჩამოვიდა მთიდან, ხელში აღთქმის ორი ფიქალი ეჭირა, ორსავე მხარეს ნაწერი ფიქალები. აქეთაც და იქითაც წარწერები იყო. ღვთის ნაკეთები იყო ეს ფიქალები, წარწერაც ღვთისა იყო, ფიქალებზე ამოკვეთილი“ (გამ. 32:15-16).

მთის ძირას მას იესო, ნავეს ძე დახვდა და შემოესმათ კიჟინა. იესო შეეცადა მოსესთვის ხმაურის მიზეზი აეხსნა, თუმცა მოსე კარგად უნყოდა, რომ ხმაური და შეძახილები ხბოს კერპის გარშემო გამართული ღვთის მიხმობის იყო.

ის, რაც მოსემ იხილა, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. ოქროს კერპის გარშემო მოკველი ხალხი შემზარავი სანახავი გახლდათ. განრისხებულმა, შეძრწუნებულმა მოსემ უფლის ხელით დაწერილი ქვის ფილები კლდეს მიანარცხა. ფილები დაიმსხვრა. ერი, რომელმაც უფალი შეიგრძნო და უშუალოდ მისგან მოისმინა რჯულის მცნებანი, უღრისია აღობედეს თავად უფლის თითით აღბეჭდილ კანონებს – ასე მიაჩნდა. მოსემ, თავისი რისხვით, ხალხს ცოდვის ამკრძალავი რჯული წაართვა. ეს სულმოკლეობა თავად მოსეს ცოდვა გახდა და მას სხვა, კიდევ ერთ შეცოდებასთან ერთად, აღთქმულ ქვეყანაში შესასვლელი გზა მოუჭრა.

თეოდორიტი კვირელის განმარტებით, ქვის დაფები უფალსა და მის ხალხს შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულება იყო, სასძლო კი სიძის სახლში შესვლამდე შესცოდა, ამიტომაც მოსემ სრულიად სამართლიანად გაანადგურა ისინი.

„აილო (მოსემ – მ.თ.) მათი გაკეთებული ხბო, ცეცხლში დაწვა, მტვრად აქცია, წყალს მოაფრქვია და ისრაელიანებს შეასვა“ (გამ. 32:20). კერპის განადგურებით, მისი ფერფლის წყალთან სათაყვანებელი „ღმერთების“ უძღურებას გაუსვა ხაზი. შემდეგ კი აარონს მიმართა: „...რა დაგიშვა ამ ხალხმა, ასეთ დიდ ცოდვაში რომ ჩააგდე“ (გამ. 32:21). აარონის პასუხი ადამის პასუხის მსგავსია, როდესაც თავისი შეცდომის სხვისთვის გადაბრალებას ცდილობს („უთხრა ადამმა: შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე“ (დაბ. 3:12). ადამის მსგავსად, ის არ სცნობს საკუთარ ბრალეულობას, ფიქრობს, რომ ხალხია დამნაშავე და სრულ პასუხისმგებლობას მომხდარის გამო ხალხს აკისრებს. „უთხრა აარონმა: რისხვით ნუ აინთება ჩემი ბატონი. შენც იცი, რომ ბოროტებისკენ არის მიდრეკილი ეს ხალხი. მითხრეს: გაგვიკეთე ღმერთები, რომლებიც მიგვიძღოდნენ წინ, რადგან არ ვიცით, რა დაემართა იმ მოსეს, კაცს, რომელმაც ეგვიპტიდან გამოგიყვანა“ (გამ. 32:22-23) და იმის ნაცვლად, რომ თავისი სამღველო სახელის შესაბამისად უფლის სამსახურში მდგარიყო, ბრბოს ნებას დაჰყვა – „...ცეცხლში ჩავეყარე და ეს ხბო გამოვიდა“ (გამ. 32:24) – თავს იმართლებს აარონი.

მოსესთვის მიუღებელია აარონის თავის მართლება, მკაცრად აფასებს მას – „დაინახა მოსემ, რომ გახლებული იყო ეს ხალხი, რომ გაახელა იგი აარონმა მისი მტრებისგან ყბადასალებად“ (გამ. 32:25) და „ჩადგა მოსე ბანაკის ჭიშკარში და თქვა: ვინც უფლისაა, ჩემთან! და შეგროვდნენ მასთან ლევიანები“ (გამ. 32:26). შეგახსენებთ, რომ თავად მოსე ლევიანების შთამომავალია. ეს ტომი მუდამ უფლის ერთგულებით გამოირჩეოდა. იმჟამად, ტომი 22000 მამაკაცს (რიცხ. 3:39) ითვლიდა. ლევიანები სრულად დაუდგნენ მოსეს გვერდით. ხალხის ერთი ნაწილი კვლავ აგრძელებდა ღვთისა და არ ფიქრობ-

და უფლისკენ შემობრუნებას, ეს კი კერპის მსახურებაზე მძიმე ცოდვა იყო და მათი გულების გასასტიკებას ნიშნავდა.

შემოიკრიბა მოსემ ლევიანები და მიმართა მათ: „...ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: მახვილი შეიბას ყველამ, მოიარეთ ბანაკი ჭიშკრიდან ჭიშკრამდე და მოკალით ძმამ ძმა, მეგობარმა მეგობარი, ნათესავმა ნათესავი“ (გამ. 32:27). მოსეს სიტყვისამებრ მოიქცნენ უფლის ერთგულნი. სამი ათასამდე კაცი განყდა იმ დღეს, ისინი არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად თავისი ცოდვის გამო დაისაჯნენ. მოლაღატე ადამიანების დახოცვა ლევიანების კურთხევისათვის მსხვერპლთშენივად ჩაითვადა და ამიტომაც თქვა მოსემ: „...აივსეთ ხელი დღეს უფლისათვის, რადგან კაცი თავისი ძითა და ძმით არის, რათა კურთხევა გადმოვიდეს დღეს თქვენზე“ (გამ. 32:29).

ოქროს ხბოს ტრაგიკული ეპიზოდი კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს შეიცავს. სამი ათასი ადამიანის სიკვდილი ცოდვის ადამიანური გამოსყიდვის საფასური იყო, მაგრამ დარჩებოდა თუ არა ეს ხალხი უფლის რჩეულად, კვლავ გაურკვეველი იყო.

ამიტომაც, „მეორე დღეს უთხრა მოსემ ხალხს: დიდი ცოდვა გაქვთ ჩადენილი. ახლა ავალ უფალთან, ვინდლო ვაპატიებინო თქვენთვის ეს ცოდვა. დაბრუნდა მოსე უფალთან და უთხრა: დიდი ცოდვა ჩადინა ამ ხალხმა: ოქროს ღმერთები გაიკეთა“ (გამ. 32:30-31). კვლავ შესთხოვა მოსემ უფალს პატივება ხალხის გამო. ის მზად იყო საკუთარი თავი შეენიროს: „ახლა მიუტევე მათ ეს ცოდვა, თუ არა და, ამომშალე შენი დაწერილი წიგნიდან“ (გამ. 32:32).

უფალი არ ღებულობს მოსეს თავგანწირვას, რადგან თითოეული ადამიანი თავად არის პასუხისმგებელი საკუთარ ცოდვებზე: „...ვინც მე შემცოდა, იმას ანაოშლი ჩემი წიგნიდან. ახლა წადი და ნაიყვანე ხალხი, სადაც ვითხარი. აჰა, ჩემი ანგელოზი წაგიძღვება წინ. განკითხვის დღეს მოვკითხავ მათ ცოდვებს“ (გამ. 32:34) – ბრძანებს უფალი.




ოქროს ხბოს თაყვანისცემა, ნიკოლა პუსენი

მათემატიკა

ფიზიკის კვლევების დასახმარებლად სითბური მოვლენები

ამოცანა 59.

1 მოლი იდეალური აირის მდგომარეობა იცვლება ისე, როგორც გრაფიკზე გამოსახული (იხ. სურათი). ამ პროცესისას შესრულდა A მუშაობა. მეორე და მესამე მდგომარეობაში აირის წნევების შეფარდება ტოლია: P2/P3 = k. ცნობილია, რომ ტემპერატურა საწყის, პირველ მდგომარეობაში უდრის საბოლოო, მესამე მდგომარეობაში ტემპერატურას (T1=T3=T). გავივით ეს ტემპერატურა.



ამოხსნა:

აირი 1-დან 2 მდგომარეობაში გადადის იზობარულად (იხ. სურათი), ამიტომ ამ დროს აირის მუშაობა ტოლია: A=p1(V2-V1). ამ ორი მდგომარეობისთვის იდეალური აირის მდგომარეობის განტოლებიდან მივიღებთ:

p1(V2-V1)=vRT(T2-T1) და V2/V1=T2/T1.

ამის გათვალისწინებით: A=vRT((V2/V1)-1). იმის გამო, რომ T1=T3=T, p1=p2, V2=V3, შეგვიძლია დავწეროთ: p1V1=p3V3, ან V2/V1=p2/p3=k. საბოლოოდ: A=vRT(k-1), საიდანაც T=A/(vR(k-1)).

ამოცანა 60.

აირს ათბობენ T1=300K-დან T2=400K ტემპერატურამდე. ამ დროს აირის მოცულობა იცვლება ტემპერატურის პროპორციულად. აირის საწყისი მოცულობა V1=3დმ3-ს. პროცესის ბოლოს გაზომილი წნევა აღმოჩნდა p0=105პა. რა მუშაობა შესრულდა აირმა ამ პროცესისას?

ამოხსნა:

ამოცანის პირობიდან ჩანს, რომ მოცულობის ტემპერატურასთან შეფარდება მუდმივი სიდიდეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი პროცესის განმავლობაში აირის წნევა მუდმივია, ამიტომ აირის მუშაობისთვის შეიძლება დავწეროთ: A=p0(V2-V1). სადაც V2 აირის მოცულობაა T2=400K ტემპერატურაზე. მეორე მხრივ, ვიცით, რომ V2/V1=T2/T1=4/3. ეს შეფარდება გამოვიყენოთ მუშაობის გამოსანგარიშებლად: A=p0V1((V2/V1)-1) = 105*3*103*(4/3-1)=100 ჯ.

ამოცანა 61.

ცილინდრულ ჭურჭელში უწონო დეგუმის ქვეშ მოათავსეს V0=546დმ3 მოცულობის ჰაერი ნორმალურ პირობებში (p0=105 პა, T0=273K) და შემდეგ გაათბეს T=1K-ით, რის

შედეგად დეგუმი გადაადგილდა გარკვეულ სიმაღლეზე. განვსაზღვროთ მუშაობა, რომელიც შესრულდა ჰაერმა გაფართოებისას. დეგუმის ხახუნი ცილინდრის კედლებთან უგულვებელყოფილია.

ამოხსნა:

რადგან დეგუმს უხახუნოდ შეუძლია სრიალი, ჰაერის გათბობის პროცესი იზობარულია - გათბობამდე და გათბობის შემდეგ დეგუმის ქვეშ წნევა ატმოსფერულია, მოცულობა იზრდება ΔV-ით. ჰაერის მიერ შესრულებული მუშაობა ტოლია: A=p0ΔV. დავწეროთ იზობარული პროცესისთვის იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება:

(V0+ΔV)/V0=(T0+T)/T0. აქედან

ΔV=V0((T0+T)/T0)-V0=V0(T/T0). ΔV-ს ეს გამოსახულება შევიტანოთ მუშაობის ფორმულაში და საბოლოოდ მივიღებთ:

A=p0V0T/T0=105*0,546*1/273=200 ჯ.

ამოცანა 62.

h=75სმ სიმაღლის თბობილაციის მქონე ორი ერთნაირი ცილინდრული კალორიმეტრი 1/3-ითაა შევსებული. ერთი მათგანი t1=100C-იანი წყლით, მეორე - მასში ჩასხმული წყლის გაყინვით მიღებული ყინულით. პირველი კალორიმეტრიდან წყალი გადაასხეს მეორეში, რის შედეგადც ეს უკანასკნელი 2/3-ით აღმოჩნდა შევსებული. ამავე კალორიმეტრში ტემპერატურის დამყარების შემდეგ მისი შევსების დონე Δh=0,5სმ-ით გაიზარდა. ვიპოვოთ ყინულის საწყისი ტემპერატურა, თუ ყინულის სიმკვრივე ρ=900კგ/მ3, წყლის - ρ0=1000კგ/მ3, წყლის კუთრი სითბოტევადობა c1=4200 ჯ/კგK, ყინულის - c2=2100ჯ/კგK, ყინულის დნობის კუთრი სითბო λ=340კჯ/კგ.

ამოხსნა:

ტემპერატურის დამყარების შემდეგ კალორიმეტრში შევსების დონის გაზრდა იმის მაჩვენებელია, რომ წყალი ნაწილობრივ გაიყინა, რადგან ერთი და ყინულის მოცულობა მეტია იმავე მასის წყლის მოცულობაზე. აქვე შევამოწმოთ რატომ მთლიანად არ გაიყინა წყალი: ამ შემთხვევაში მისი მოცულობა გაიზარდებოდა ρ0/ρ≈1,1-ჯერ და კალორიმეტრში დონე გაიზარდებოდა Δh1=(h/3)(1,1-1)≈2,5სმ-ით, რაც არ შეესაბამება ამოცანის პირობაში მოცემულ მნიშვნელობას. ამ მსჯელობის საფუძველზე ვაკეთებთ დასკვნას, რომ კალორიმეტრში საბოლოოდ გვექნება წყალი და ყინული t0=0C ტემპერატურაზე. ამ პირობის გათვალისწინებით დავწეროთ სითბური ბალანსის განტოლება: ვთქვათ Q1 არის m1 მასის წყლის მიერ გაცემული სითბოს რაოდენობა მისი ტემპერატურის t1=100C-დან t0=0C-მდე შემცირებისას, მაშინ Q1=c1m1(t1-t0); ამ წყლიდან ნაწილი იყინება, ამიტომ თუ Q2-ით აღვნიშნავთ იმ სითბოს რაოდენობას, რომელსაც გასცემს Δm მასის წყალი მთლიანად გაყინვისთვის, მივიღებთ Q2=-Δm λ. m1 და Δm მასის წყლის მიერ გაცემული ჯამური სითბოს რაოდენობა ხმარდება m2 მასის ყინულის t-დან


t0=0C ტემპერატურამდე გათბობას: Q3=c2m2(t0-t), სადაც Q3 ყინულის საწყისი (t) ტემპერატურიდან 0C-მდე მისაყვანი სითბოს რაოდენობაა, ამიტომ:

Q1+Q2+Q3=0, ან c1m1(t0-t1)-Δmλ+c2m2(t0-t)=0. გამოვიყენოთ მასის მუდმივობის პირობა: Δm=ρ0Sh1=ρSh2, სადაც S არის კალორიმეტრების განივკვეთის ფართობი, h1 - წყლის იმ ფენის სიმაღლე, რომელიც შემდგომში ყინულის შრედ იქცა, h2-ამ შრის სისქე. ამ პირობიდან მივიღებთ, რომ h2/h1=ρ0/ρ=1,1 (როგორც ზევით ვაჩვენეთ). ამავე დროს ვიცით, რომ h2-h1=0,5სმ. აქედან h2=1,1h1, ანუ 0,1h1=0,5 და h1=5სმ-ს. გარდა ამისა, გავითვალისწინოთ, რომ m1=ρ0S*(h/3) და m2=ρS*h/3 და მასების ეს გამოსახულებები ჩავსვათ სითბური ბალანსის განტოლებაში:

c1ρ0S*h/3*(t0-t1)-ρ0Sh1λ+c2ρSh/3*(t0-t)=0. ანუ -c1(ρ0/ρ)(h/3)*t1-(ρ0/ρ)h1λ-c2(h/3)t=0, საიდანაც t=-((c1(ρ0/ρ)(h/3)*t1+(ρ0/ρ)h1λ)/c2(h/3))≈-57,6° C.

ამოცანა 63.

ჭურჭელში მოთავსებულია m=10კგ მასის ყინულისა და წყლის ნარევი. ჭურჭელი შეიტანეს ოთახში და დაიწყეს ნარევის ტემპერატურის გაზომვა, რომლის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი სურათზეა მოცემული. ვიპოვოთ ყინულის მასა m1 ჭურჭლის ოთახში შემოტანის მომენტისთვის, თუ წყლის c=4,2კჯ/კგK, ყინულის λ=340კჯ/კგ.



ამოხსნა:

გრაფიკიდან ჩანს, რომ პირველი 50 წუთის განმავლობაში ნარევის ტემპერატურა არ იცვლებოდა და რჩებოდა 0C-ის ტოლი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ოთახიდან გადაცემული სითბო ხმარდებოდა ყინულის დნობას. 50 წუთში ყინული მთლიანად გადნა, წყლის ტემპერატურამ მატება დაიწყო და 10 წუთში 2C გახდა. ამ დროს წყლისადმი გადაცემული სითბოს რაოდენობა ტოლია:

Q1=cm(t1-t0)=4200*10*2=84კჯ. რადგან ამ სითბოს გადაცემა 10 წუთში მოხდა, 50 წუთში 5-ჯერ მეტი სითბო გადაეცემოდა ოთახიდან ჭურჭელს: Q2=5Q1=420კჯ. ეს სითბოს რაოდენობა მოხმარდა ყინულის დნობას: Q2=m1λ.

აქედან m1=Q2/λ≈1,2კგ.

თემატიკაზე ბაზრები

აკად. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე

ინფორმაცია



ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის „უსაფრთხო სკოლა“ მეორე დღეს 33 წარმატებული ქართველი მანდატური დაჯილდოვდა და ყველა მათგანი საერთაშორისო ეროვნული ასოციაციის (NASRO) წევრი გახდა. ბენეფიციარი მანდატურები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებში მუშაობენ და განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩევიან. საქართველოს სკოლებში მანდატურის ინსტიტუტი ორი წლის წინ ამოქმედდა. მანდატურები ყველა ქალაქისა და რამდენიმე სოფლის სკოლაშია. საქართველოს მასშტაბით მონაწირების უსაფრთხოებას 1500 მანდატური იცავს. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მანდატურის სამსახურის ამოქმედების შემდეგ, სკოლებში ძალაობა 95%-ით შემცირდა,

და, ასევე სტატისტიკური მონაცემებით, აღმოფხვრილია თამბაქოს მოხმარების ფაქტები:

- ◆ 80%-ით შემცირდა მოსწავლეებს შორის დაპირისპირების ფაქტები;
- ◆ 95%-ით აღმოფხვრა ფულის გამოძალვის ფაქტები;
- ◆ 90%-ით შემცირდა საჯარო ვანდალიზმის (სასკოლო ქონების დაზიანების) ფაქტები;
- ◆ 80%-ით შემცირებულია მოსწავლეების დაგვიანების ფაქტები;
- ◆ 75%-ით შემცირდა მოსწავლეების სკოლიდან გაპარვის ფაქტები (ენ მატალი).

კონფერენციის ბოლო დღე ასევე დაეთმო სამომავლო გეგმების განხილვას. უცხოელმა სტუმრებმა ასევე შეაჯამეს კონფერენციის მუშაობა და თავიანთ შთაბეჭდილებებზე ისაუბრეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე და სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი რამაზ სულამანიძე სოციალურ სანარმოს „Auto Life“ ესტუმრნენ და ის ახალგაზრდები მოინახულეს, რომლებიც სანარმოში სამუშაო პრაქტიკას გადიან. ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა ახალგაზრდები გაიცნეს და მათი სამუშაო გარემო დაათვალიერეს. ავტომობილების მომსახურების ცენტრში „Auto Life“ ავტომემკეთებლის პროფესიას 5 სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა ეუფლებოდა. ლამაზ ბიჭიაშვილი მანქანის დაშლა-აწყობას და სავალი ნაწილების შეკეთებას სწავლობს, თემურ ნოღაიდელი და ჯემალ ციბროშვილი მეთუნეუქის პროფესიას ითვისებენ, ხოლო თორნიკე ვარაზაშვილი და ბაჩანა მენტეშაშვილი ავტომობილების შეღებვის პრაქტიკულ სწავლებას გადიან. 2010 წლიდან ასოციაციამ „Life Chance“, გერმანიის საელ-

წოს დახმარებით, სოციალური სანარმოს „Auto Life“ დააფუძნა. სოციალური სანარმოს მიზანია, დაეხმაროს სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს და ბავშვთა სახლების ყოფილ აღსაზრდელებს, დაეუფლონ ავტომემკეთებლის პროფესიას და მიიღონ გრძელვადიანი დასაქმების შანსი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 17-მა ახალგაზრდამ უკვე წარმატებით გაიარა პრაქტიკული და თეორიული სწავლება. წარჩინებული მოსწავლე, ახალგაზრდა დევიდი ნიკა ბაციკაძე 3 თვით გერმანიაში გაემგზავრა და პრაქტიკა Ford Apple & Wilhelm Maibach-ის პროფესიულ სასწავლებელში გაიარა. 2012 წლის სექტემბრიდან, ორგანიზაცია „Life Chance“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროფესიული განათლების ახალ კურსებს იწყებს. პროექტის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები და მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელები ავტომობილების შეკეთების სფეროში თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან.



XX საუკუნის კორტაჟი

მე ლამაზი ადამიანების ხატვა მიყვარს!

პირველი გვერდიდან

წინაპრები

გუდაშვილების გვარი წარმოშობით მთიულეთიდანაა. ბაბუა - დავით გუდაშვილი დუშეთიდან იყო, ბებია ელისაბედი - ფასანაურიდან. როგორც ნამშობიდან ვიცი, ბაბუას ელისაბედი ცხენით მოუტაცებია, საცხოვრებლად თბილისში გადმოსულან და ბინა ძველი უბნის - ჩუღურეთის მახლობლად, რიყის ქუჩაზე დაუდევთ.

ბებია და ბაბუა თბილისურ ბოჰემურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდნენ, მოკრძალებულად ცხოვრობდნენ და მთელ თავისუფალ დროს ორი ვაჟის - ვახტანგისა და ლადოს აღზრდას ანდომებდნენ. ბავშვობის წლების გახსენება მამას ყოველთვის დადებით ემოციას ჰგვირგია: „ჩემმა ბავშვობამ ძველი თბილისის უბანში გაიარა. ეს იყო ძალზე ღარიბული, მაგრამ უაღრესად თავისებური, უაღრესად კოლორიტული უბანი“. ლადოს ძმა - ვახტანგი თურმე ძალიან კარგად ხატავდა, მშობლებიც ხელს უწყობდნენ მონდომებულ და ნიჭიერ მხატვარს. ლადოს აღზრდა კი, ბებია მუსიკოსად განუზრახავს და მისთვის კერძო მასწავლებელიც აუყვანია.

როგორც იქნა, ლადო ვიოლინოზე დაკვრას დაიწყებდა, თურმე გულის არეში სამხინელ ტკივილს გრძნობდა. საბოლოოდ, საქმე იქამდე მისულა, რომ ექიმის რჩევით ლადოს მუსიკისთვის თავი დაუნებებია. იქ, სადაც მამა ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, მეზობელთან სტუმრად გერმანელი მხატვარი ზომერი მოდიოდა. ერთხელ ბებია მისთვის ვახტანგის ჩანახატების ალბომი უჩვენებია. ალბომის დათვალიერებისას, მხატვრის ყურადღებამ პუმკინის პორტრეტს მიუქცევია, რომელიც ლადოს ჩაუნახატავს ძმის ალბომში. აღფრთოვანებულ მხატვარს უთქვამს: ვინც ეს დახატა, მხატვარი სწორედ ის გამოვაო. ამის შემდეგ, ლადო მშობლებმა ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში მიაბარეს, რომელიც თბილისში ნატიფ ხელოვნებათა ნამახალისებულმა კავკასიის საზოგადოებამ დააარსა.

მოგვიანებით, ლადო თავის „მოგონებების წიგნში“ წერს: „სამხატვრო სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, გელათში ექსკურსიაზე რომ წავიყვანეს. როცა ტაძარში შევედი, საოცარი განცდა დამეფულა. ფანტასტიკური სანახაი იყო, მზე სარკმლიდან რომ ჭვრეტდა ღვთისმშობლის მოზაიკას. ეს მზის სხივი ისე საოცრად ანათებდა მას, რომ ცრემლის გორგალი ძლივს გადავყლაპე“. ეს არ იყო წუთიერი ემოცია, ამის შემდეგ ლადო აქტიურად შეუდგა ძველი ტაძრების არქიტექტურისა და ფრესკული ხელოვნების შესწავლას. ველოსიპედიც კი იყიდა, მცხეთაში რომ ევლო. ერთხელ, ქარმა

გზიდანაც გადააგდო და ხელი იტკინა. ამ ტრავმის გამო, მოგვიანებით, ლადო ჯარში არ წიყვანეს.

1917-19 წლებში მამამ მონაწილეობა მიიღო „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ სამ უმნიშვნელოვანეს ექსპედიციაში: 1916 წელს - ნაბახტევის ეკლესიის მე-10 საუკუნის ფრესკების გადმოსახატად მოწყობილ ექსპედიციაში; დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შემსწავლელ ექსპედიციაში და 1917 წელს - ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლების - ოშკის, ხახულის, იშხანის, პარხლის, ოხთა ეკლესიის შემსწავლელ ექსპედიციაში, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ექსპედიციებში ლადო ქართულ ძეგლებს ეცნობოდა, იღებდა ფრესკის პირებს. „ამ ფრესკებმა საკუთარი თავი მაპოვნინეს“ - ხშირად იგონებდა მამა.

პარიზი, გზა დიდებისაკენ...

1919 წელს, თბილისში, დიდების ტაძარში (ახლანდელი სურათების გალერეა) მოეწყო გამოფენა საუკეთესო მხატვრების გამოსავლენად, რათა ისინი, დაოსტატების მიზნით, გაეგზავნათ პარიზში. გადაწყდა, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებულიყვნენ: დავით კაკაბაძე, შალვა ქიქოძე და ლადო გუდაშვილი. ამ პერიოდში, პარიზში იმყოფებოდნენ ელენე ახვლედიანი და ქეთევან მაღალაშვილი. პარიზში ლადო რონსონის „თავისუფალ აკადემიაში“ სწავლობდა, დადიოდა სამხატვრო აკადემიაშიც (კორმონის სახელოსნო). მონაწილეობდა გამოფენებში - პარიზი, რომი, ვენეცია, ინდოეთი, ბრიუსელი, ამსტერდამი.

1922 წელს, პარიზის „ლა ლიკორნის“ გალერეაში, ლადოს პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო. სამი წლის შემდეგ, ლადოს ნამუშევრების გამოფენა იმართება „ბიის“ გალერეაში, რომელსაც ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად. აი, რას წერდა ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე ანდრე სალმონი: „ლადო გუდაშვილი თავის მონოდებდა რაცეს, უწინარეს ყოვლისა, იყოს მხატვარი. არადა, მოგეხსენებათ რას ნიშნავს მხატვრობა დელაკრუას, კურბეს, სეზანის, სიორას შემდეგ. ამასთანავე, იგი, საკუთარი ნატურის იდუმალებითა და თავისი რასისმიერი ინსტინქტების წყალობით, შესანიშნავად ახერხებს დარჩეს პოეტად, რისთვისაც იგი მუდამ ეყვარებათ. მე მას ვერავის შევადარებ... იქნებ, ლადო გუდაშვილი მამამთავარია ხელოვნებისა, რომელიც ახალგაზრდა, უწინ ჩავრულმა ერმა, ხვალ უნდა შექმნას, მე მჯერა, რომ ჩემს თბილისელ ჭბუკ მეგობარს ბრწყინვალე მომავალი აქვს“. საფრანგეთში, ამავე წელს, გამოიცა ცნობილი კრიტიკოსის მორის რეინალის მონოგრაფია - „ლადო გუდაშვილი“: „ლადო გუდაშვილის ექსპოზიცია ჩვენთვის იყო აღმოჩენა,



ნინა და ლადო

რომელმაც უაღრესად თავისებური მხატვარი წარმოგვიდგინა. იგი აზროვნებს ისევე როგორც, ან, შესაძლოა, ისევე სადად, როგორც ადამიანები მისი ქვეყნისა, რომელსაც უძველესი ცივილიზაცია აქვს. პარიზული გემოვნების მაცდუნებელ მრავალფეროვნებაშიც სრულად შეინარჩუნა ეროვნული თავისებურებანი, დარჩა ქართველად მას შემდეგ, რაც მსოფლიოს გამოჩენილ მხატვართა გამოშახველობით ხერხებს ეზიარა“.

ლადო პარიზში, ხელოვნების უდიდეს მექაში მოხვდა, მაგრამ არ დაკარგა თავისი ხედვა, გემოვნება. ჰქონდა უმრეტე ფანტაზია, გრძობდა სამშობლოს არსის, ლადოს წარმატება დღითი დღე იზრდებოდა. მისი ნამუშევრები შეიძინეს: მადრიდის „პრადოს“ მუზეუმმა, პარიზის გალერეებმა, ევროპულმა და ამერიკულმა კერძო კოლექციონერებმა.

უსაქარმოვლო ცხოვრება არ შეიძლება

მიუხედავად დიდი წარმატებისა, საქართველოში უზომოდ შეფასრებულ ლადოს არ ასვენებდა სამშობლოზე ფიქრი. ეს არ იყო ბანალური სიყვარული. ის ცდილობდა, ყოველ ქართველში, მის ისტორიაში, მის ლეგენდებში დაენახა ამაღლებული, იდეალური სილამაზე, ისტორიული სიმართლე. „საქართველოში, რაც შეიძლება მაღალი“ - აი, ერთადერთი ფიქრი, რომელიც მას ასულდგმულედა. წარმოიდგინეთ, მაშინ, როდესაც ლადომ პარიზში მოიპოვა დიდი აღიარება, მისი ნამუშევრები იფინებოდა შესანიშნავ გალერეებში... ინყებოდა გზა დიდებისკენ, მან მიიღო გადაწყვეტილება - დაბრუნდეს საქართველოში, სადაც „სოციალისტური რეალიზმის“ დროშა ფრიალებდა. პარიზიდან გამოგზავრების წინ, ლადოსთან მისულა ერთ-ერთი პარიზული გალერეის მეპატრონე როზენბერგი, რომელსაც ლადოს გადარწმუნება უცდია: „თქვენ მიდხართ სწორედ იმ დროს, როცა იწყება თქვენი აღიარება, თუ არ გადაიფიქრებთ, იცოდეთ, ეს იქნება დიდი შეცდომა!... თუ გინდათ ამაღლდეთ - დარჩით“. ამ შეხვედრას მოგვიანებით მამა ასე იხსენებდა: „მე ავლელი. ამ სიტყვებს მეუბნება კაცი, რომელმაც თავის დროზე მეცნაობა გაუნია პიკასოს, დერენს, მატისს, მან გაუხსნა გზა ბერე მხატვარს...“ და უთქვამს: „მე უსაქართველოდ ცხოვრება არ შემიძლია!“

„...როგორი სიხარული ვიგრძენი, როცა საქართველოს სანაპირო დავინახე. მზით განათებული შემომხვდა აჭარის მიტეხ... ხუთი წლის წინ მასთან განშორების სევდა და ტკივილი ახლა ისეთი სიხარულით მეცვლებოდა, რომ სუნთქვა შემეკრა... ალბათ, ამ ქვეყნად, არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე სამშობლოში

დაბრუნება. წარმოუდგენელი განცდა დამეფულა, როცა მშობლიურ მიწაზე დავდგი ფეხი“. მიუხედავად იმისა, რომ მამა ასე განიცდიდა სამშობლოს, მაინც მთელი ჩემი ცხოვრება ვფიქრობდი, რატომ დაბრუნდა მამა პარიზიდან საქართველოში, რატომ თქვა უარი ასეთ შემთავაზებაზე? იცით, ამ კითხვას როდის გავცა პასუხი? - როცა ლადო გარდაიცვალა. დაკრძალვის ცერემონიაზე მამას მთანამდისკენ უამრავი ხალხი მიაცილებდა, რეკდა ქაშვეთის ტაძრის გლოვის ზარები. ახალგაზრდები მთანამდისკენ მიმავალ აღმართზე ხელით მიასვენებდნენ განსვენებულის სასახლეს. სწორედ მაშინ მივხვდი, მამა მართალი იყო, რომ დაბრუნდა საქართველოში. ლადოს ზომ ქართველი ხალხის სიყვარულმა მოუტანა ასე დიდი აღიარება.

პარიზი, კაფე „როტონდა“

საფრანგეთში ლადო კულტურის ცენტრში მოხვდა. მაშინ მთელი მსოფლიოს მხატვრები პარიზში იყრიდნენ თავს, რადგან იმ პერიოდში პარიზი ითვლებოდა მხატვრობის მექად. იქ მოღვაწეობდნენ მოდილიანი, პიკასო, იაპონელი ფუჯიტა... და მრავალი სხვა. მას ბედნიერება ხვდა წილად, ამ ადამიანებს გაცნობოდა. ისინი ერთმანეთს პარიზულ კაფე „როტონდაში“ ხვდებოდნენ.

მაშინ მოდილიანი კაფე „როტონდაში“, ფიზიკური გადარჩენისათვის, ხატავდა მოდელებს. მამა მას ასე იხსენებდა:

„...ამადეო მოდილიანი ყოველ საღამოს კაფე „როტონდაში“ თავის განკუთვნილ ადგილას იდგა და აკეთებდა ჩანახატებს. ხშირად ჩვენს თვალწინ იქმნებოდა მისი სასწაულებრივი სურათები... მაშინ იგი ცნობილი არ იყო... სიცოცხლეში თითქმის არავინ იძინებდა მის სურათებს. ბერს არ ესმოდა, მაგრამ ვისაც ესმოდა, ვინც იმთავითვე შესანიშნავად იცოდა მისი ფასი, არც ისინი ყიდულობდნენ... მოდილიანის სიკვდილის შემდეგ კი, თითქმის უსასყიდლოდ დაიხატა კუთხის სურათების უმეტესი ნაწილი სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებშია თავმოყრილი... და, ალბათ, ვერასოდეს მოხერხდება მისი, მთლიანად თუ არა, რამდენადმე მაინც, სრული გამოფენის ნახვა...“

მისი ნახატები „უსიტყვეო საუბრება“. იგი განზრახ კი არ აგრძელებდა ადამიანის ხატვებს, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ, ხაზს კი არ უსვამდა ასიმეტრიულობას, ასე ხედავდა და ასე ხატავდა... ასეთი იყო მისი ხელწერა... მან მხატვრობა დაასახლა საოცრად პოეტური სახეებით... პოეტური და ლამაზი იყო იგი გარეგნულადაც. მუდამ მოწყვნილი დადიოდა, ფერმკრთალი... მაშინ იგი უკვე ავად იყო და ჩემს იქ ყოფნაში გარდაიცვალა. მოდილიანის სიკვდილი ნამდვილი ტრა-

გედია იყო და ეს იმავე დღეს იგრძნო ყველამ. მას შემდეგ მის სახელს აღარ სცოდნებდა ეპითეტები: „დიდი“, „განუმეორებელი“, „გენიალური“.

„...როცა პიკასოზე ვფიქრობ, ჩემს ცნობიერებაში შორეული ახალგაზრდობის დღეები ცოცხლდება და კიდევ უფრო მიმზიდველად მეჩვენება კაფე „როტონდა“ - ადგილი, სადაც მას ვხვდებოდი ხოლმე. ვაკვირდებოდი მის სახეს, ხელებს, მოძრაობას... გასაოცრად ლამაზი, პატარა ხელები ჰქონდა. რაღაც მოუსვენრობა ემჩნეოდა. შემდეგში შედარებით უფრო კარგად გავიცანი, მივხვდი, რომ მოუსვენრობა მისი ხასიათის თვისება იყო. ამ თვისებას კიდევ უფრო უსვამდა ხაზს საოცრად ცოცხალი თვალები. უკვე შეჭალარავებოდა შავი თმა ჰქონდა. ხშირად მინახავს სევდიანი, ფიქრები წასული. საათობით ჩუმად იჯდა ხოლმე „როტონდაში“. მინახავს ძალიან მხიარულიც.“

„ნინა, ნინა, მე მხატვა ძაშვეთს!“ ...

1947 წელს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, შესანიშნავმა პიროვნებამ - კალისტრატე ცინცაძემ ლადოს ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატვა შესთავაზა. წარმოიდგინეთ, ლადო თავისი თაობის მხატვრებიდან ის ერთადერთი უნდა ყოფილიყო, ვინც იმ ავადსახსენებელ დროში ეკლესიის მოხატვას გაზედავდა. ფაშაშვილისა და ბოლშევიშვილის ჯოჯოხეთგამოვლილ საქართველოში მას ჭეშმარიტების გზა უნდა მოეძებნა. ეს იყო გზა, რომელსაც ტაძარამდე უნდა მიეყვანა მხატვარი. ლადომ შეებდა ამ გზაზე და გაიარა კიდევ.

მამა ცხოვრებაში საოცრად თავმდაბალი და მორიდებული კაცი იყო, თუმცა შემოქმედებაში - ძალიან შემტევი. ამიტომაც გაზედა ალბათ და თავისი არაჩვეულებრივი უშუალობით მთავრობის ერთ-ერთ წევრს ეკლესიის მოხატვაზე რჩევა ჰქითხა. ცხადია, ის პიროვნება ლადოს ვერც „კი“-ს ეტყობა და ვერც „არა“-ს. ასე უთქვამს, ეს პირადად თქვენი გადასაწყვეტიაო.

მახსოვს ის დღე. მამა ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ქაშვეთთან. ჩამოუხვია ქუჩაზე... - „ნინა, ნინა, მე ვხატავ ქაშვეთს!“

ძალიან კრეატიული პიროვნება იყო, უაღრესად განათლებული თავის პროფესიაში. საგულდაგულოდ შეისწავლა უძველესი იტალიური ტექნიკა და დაიწყო ურთულესი ესკიზების კეთება. მას არ უჭირდა ხატვა, გაგიჟებული ხატავდა. მიიღო გადაწყვეტილება, საკურთხეველში ღვთისმშობლის ღვთაება გამოეხატა, საწყისი - სიყვარულის, დაბადების, სიმშვიდის დედის, მფარველი საქართველოსი. „მე გადავწყვიტე ღვთისმშობელი წამოეყვანა ჩვენსკენ, მინისკენ. უარი



ბლენერზე ძველ თბილისში

XX საუკუნის კორტაბუი

ვთქვი ზეთის საღებავებზე, ვხატავდი ენკაუსტიკის ურთულესი წესით – ცხელი, ადუღებული ფერებით. მაგრამ ფერადი ფხვნილები არ იმოკებოდა, ძეგნა-ძეგნით მივაკვლიეთ ძველ მღვდლებს... ხარაოვებზე ცხრა თვე ჰაერში ვიყავი გაყენებული, სისხლი მდიოდა ხოლმე ცხვირიდან“. დღე და ღამე ხატავდა. მე მაშინ პატარა ვიყავი, მახსოვს დედას მიყვავდი ხოლმე. მამა ამიყვანდა ხელში, მიმიყვანდა ფრესკასთან და მეტყოდა: „გესმის ანგელოზების ფრთების შრიალი?“

„ლადო ფრესკებისთვის იყო დაბადებული, ფრესკა იყო მისი სამყარო, რომლის გახსენებაზე ყრუანტელი უვლიდა ტანში, ნონასწრობასაც კი ჰკარგავდა.“ – ასე იხსენებდა მას დედამეცხველი.

თეთრად გათენებული ლამებისა და დაულალავი შრომის შედეგად, ცხრა თვეში მოხატა ლადომ ეკლესიის აბსცესი. ღვთისმშობელი დახატა ქართველი ქალის სახით, მთელი ფორმებით, სილამაზით, გვერდით დაუხატა ბრონეუსის ხე, სიმბოლო საქართველოს. კომუნისტებმა დაუნუნეს ლადოს ნახატი, უფრო მეტიც – გალანძღეს, ბრალად საბჭოთა იდეოლოგიის ღალატით და ღვთის სიყვარული წაუყენეს, კომუნისტური პარტიიდან გააორცილეს და თბილისის სამხატვრო აკადემიიდან დაითხოვეს... წარმოიდგინეთ, მრევლმაც არ მოიწონა ფრესკა. მამას ურწმუნოება და ღვთის გამოა დასწამეს, წმინდანთა სახეები ტრადიციულ ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა. პროტესტის ნიშნად, მლოცველები, ეკლესიაში აღარ შედიოდნენ. პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე აღფრთოვანებული იყო ლადოს ნამუშევრით. ერთ-ერთ მოციქულში ლადომ პატრიარქის სახე ჩაახატა. მაგრამ მაშინ მამას პატრიარქი ვერ დაიცავდა. ლადომ ხატვა ვეღარ გააგრძელა, უფლება არ მისცეს. მას უნდოდა მთლიანად ტაძარი მოეხატა, ჩაფიქრებული ჰქონდა ომში დაღუპული ქართველი გმირების დახატვა.

უარყოფილი მხატვარი ათი წელი ჩუმად, თვალსმოფარებული მუშაობდა. თითქმის ორმოცი წელი ლადოს პერსონალური გამოფენა არ გაუმართავს. მრავალი წლის შემდეგ, როცა ქაშვიტის ეკლესიის მოხატვის ნება დართეს, უკვე 80 წელს იყო მიღწეული. სამწუხაროდ, ასაკის გამო, მამამ ვეღარ შეძლო ქაშვიტის მხატვრობის დასრულება.

მიუხედავად დევნისა, ლადო ყველას ძალიან უყვარდა. მხატვარი ლადო გუდამაყის შვილი იყო მოგონადეთ არ ან მოგონადეთ. ზოგს მიქელანჯელო მოსწონს, ზოგს – ლეონარდო და ვინჩი, ზოგს – მოდილიანი და ზოგს კი – პიკასო... მთავარი ეს არ არის. მთავარია, რომ ლადო არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. აი, ახლა, როდესაც თქვენთან ერთად მამას ვხსენებ, მე ის მახსენდება საოცარი სინამდის და კეთილშობილების განსახიერებად. მას არ უმინოდა ნიჭიერი შემოქმედი ადამიანის აღიარება. ყოველთვის უხვად ახსენებდა საქებარ სიტყვებს. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ ლადო ყველას უყვარდა. ის მთავრობაც კი, რომელიც ლანძღავდა და დევნიდა მამას, დიდ პატივს სცემდა. მრავალი წლის შემდეგ, ქაშვიტის მრევლი და მლოცველები, ქუჩაში ხვდებოდნენ ლადოს და ხელებს უკოცნიდნენ. ხშირად ამბობდა: „მე არ ვიცი, მხატვარი ვარ თუ არა, გავიდეს დრო და თუ ვინმეს ჩემი ნამუშევრები სანახავად მოუხდებია ჩემს სახელოსნოსი მოსვლა, და თუ ვინმეს მოეწონება თუნდაც ერთი სურათი მაინც, მე ბედნიერი ვიქნები“.

ხშირად მეკითხებიან: იყო თუ არა მორწმუნე ლადო? რასაკვირველია, მორწმუნე იყო, მაგრამ არა ეკლესიური. ვერ ვიტყვი, რომ მამა ხშირად დადიოდა ეკლესიაში, ანთებდა საწითლებს... ის იყო განსხვავებული, რაღაც არაჩვეულებრივად მორწმუნე. ყველაფერში სულიერებას ხედავდა, ამბობდა: „არ შეიძლება იყო მონა

არაფრის! არც რელიგიის და არც სხვა რამის. შენ შენი სული უნდა მიიტანო საკურთხეველთან, მაგრამ მონობა – ეს დაუშვებელია“.

ასა უყვარდათ საპარტიველოში

ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც ლადოს უფალმა უბოძა, ეს იყო დედაჩემი – ნინა. უზომოდ ნიჭიერი, შრომისმოყვარე, საოცარი შემართებისა და უდიდესი ბუნების ადამიანი. ნინა ფრიად განათლებული, მაღალი გემოვნების ადამიანი იყო. წერდა მონოგრაფიებს, თარგმნიდა ფრანგულიდან. მან მამას სახლში საოცრად ლამაზი, მშვიდი და დიდებული გარემო შეუქმნა, ამიტომაც იყო, ალბათ, ჩვენს სახლს უამრავი არაჩვეულებრივი ადამიანი რომ სტუმრობდა. დედა წარმოშობით გურიიდან იყო. ოზურგეთის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, თბილისში ჩამოვიდა და ფოსტაში მუშაობდა დანაწყო მუშაობა. პარალელურად, სწავლობდა არტისტულ სტუდიაში. ეს იყო რუსთაველის თეატრთან არსებული სასწავლებელი, არსენიშვილის ხელმძღვანელობით. მოყვარულთა თეატრში (ახლანდელი მუსკომედა) ერთ-ერთ სექტაკლში, რომელსაც ლადო აფორმებდა, დედა, როგორც დამწყები მსახიობი, ეპიზოდურ როლს თამაშობდა. სწორედ აქ გაიცნეს დედამამ ერთმანეთი. ლადოს ნინა ისე მოსწონებია, მისთვის სევანიც შეუთავაზებია. საქმიანი ურთიერთობები დიდ სიყვარულში გადაიზარდა. დედას მისი ერთი მეგობარი ხშირად ახსენებდა: „გახსოვს ნინა, როდესაც პირველად ლადოს გამოფენაზე ვიყავით, ასეთი სურვილი გავგვიჩნდა: ოჰ, როგორ მინდა მქონდეს ისეთი სახლი, სადაც ასეთი სურათები იქნებოდა გამოფენილი და პოეტები ნაიკითხველ ლექსებს“. რას იფიქრებდა მაშინ დედა, რომ მრავალი წლის შემდეგ ეს სურვილი აუსრულდებოდა.

გუდამაყის ჩუქურთმა

მშობლებისათვის ნაწარმი და ნაგვიანები შვილი ვიყავი. როდესაც დავბადებულვარ, სახლის შესარჩევად მამას სულხან-საბას ლექსიონი გადაუშლია და უთქვამს: რომელ სიტყვასაც თითს დავადებ, ჩემს ქალიშვილს სახელად დავარქმევო. სამჯერ გადაუშლია ნიგინი და სამივეჯერ სიტყვა „ჩუქურთმა“ მიუთითებია. აი, ასე დამარქვა მამამ უჩვეულო სახელი – ჩუქურთმა.

მშობლებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ვიზრდებოდი ოჯახში, სადაც სულიერი სამოთხე იყო. მართალია, მატერიალურად ძალიან გვიჭირდა, მაგრამ სულიერად ძალიან განებივრებული და ამძლევებული ვიყავი. წარმოიდგინეთ, დარეკავდა ზარი, გავაღებდი კარს და ჩემ წინ დიდებული გალაკტიონი იდგა... მახსოვს, ერთხელ, დღის ექვს საათზე შემოვიარდა, მამას უთხრა: „ლადო, მე მოგიტანე ტილო და დახატე ლურჯა ცხენები“. ჩვენს სახლში გენიოსები იკრიბებოდნენ: გალაკტიონი, ტიცინი, პაოლო, გოგლა ლეონიძე, ბორის პასტერნაკი, რიხტიერი... ყველა უყვარდა ჩვენთან მოსვლა... მოდიოდნენ და იწყებოდა ჭეშმარიტი ნიჭისა და გენიის ხეიმი. ეს იყო საოცარი საღამოები... საუბრობდნენ პოეზიაზე, ხელოვნებაზე, სილამაზეზე, საქართველოზე... წარმოიდგინეთ გოგლა თამადა... ლადოს სახელოსნოში იატაკზე გავენდნენ „ლურჯ სუფრას“, მოუსხდებოდნენ და ასე გრძელდებოდა გათენებამდე. მე მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და ყველაფერ ამას ჩემი საძინებელი ოთახიდან ჩუმად ვადევნებდი თვალიყურს.

მამას თავის „მოგონებების წიგნში“ მრავალი ასეთი შეხვედრა აქვს აღბეჭდილი: „პოეტური შთავგონებები სახვს საათები მახსოვს პასტერნაკთან დაკავშირებით! როცა თბილისში ჩამოდიოდა, ჩვენთან უსათუოდ მოდიოდა ხოლმე. ჩემი ერთი კეთილი მეგობარი ისიც იყო. იგი ხომ მთელი თავი

ისი ცხოვრებითა და პოეზიითა დაკავშირებული საქართველოსთან...“

მახსოვს, ბოლო შეხვედრის დროს მითხრა: საქართველო იმიტომ არსებობს, რომ ადამიანებმა სიხარულის შეცნობა შეძლონ... ყველაზე მეტად საქართველოში და ქართველ მეგობართა შორის მიყვარს ყოფნა.

ისე როგორც ყველა შეხვედრა, ეს დღეც დაუვიწყარი დარჩა ჩემთვის: ნინასწარ დამირეკა. მოვალ, თუ ჩემი აწენილი ბედით არაფერს დავიშვებო. ევგენი ევტუშენკოსთან ერთად იყო...

კარგა ხანს ისხდნენ... უკვე სულ ჩამობნეულა. ავანთე დიდი სახთლები. ბორისი კითხულობდა ლექსებს, ლაპარაკობდა პოეზიაზე, მხატვრობაზე, იგონებდა გარდასულ დღეებს, ოცინი და ოცდაათიანი წლების თბილისს, ტიცინას, პაოლოს... დალოლი, ნაღვლიანი სახე ჰქონდა, აღარ მგონია, რომ ოდესმე კიდევ მომიხდეს აქ ჩამოსვლაო – ამბობდა... მართლაც, მალე გარდაიცვალა...“

ხელოვანთა ოჯახში აღზრდილი, ბავშვობიდან ბალეტზე ვოცნებობდი. დავამთავრე ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგი) ქორეოგრაფიული სასწავლებელი. თბილისში დაბრუნების შემდეგ, ვმუშაობდი ოპერისა და ბალეტის თეატრში. ვცეკვავდი კორდებალეტში, რომელსაც გენიალური ბალეტმაისტერი ვახტანგ ჭაბუკიანი ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით, გავხდი ბალეტის რეპეტიტორი, გიორგი ალექსიძის ხელმძღვანელობით. ეს ძალზე საინტერესო პროფესიაა, რომელიც საშუალებას გაძლევს შექმნა ის, რასაც თავად ვერ მიაღწიე. უბედნიერესი ვარ იმით, რომ ვაკეთებდი იმ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს. თეატრში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე – გურამ მელივა, რომელიც 30 წელი, ჯანსუღ კახიძესთან ერთად, ხელმძღვანელობდა ოპერის თეატრს. მყავს ერთი ქალიშვილი – ანანო მელივა, არაჩვეულებრივი სიძე – დათო ლორთქიფანიძე და ერთი შვილიშვილი – ელისაბედი.

შორიდან მოსული აღიარება

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1957 წლის 12 მაისს, ლადოს დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებით, თბილისში, დიდი ექსპოზიციის გახსნა დაიგეგმა. დაიბეჭდა კატალოგი, სამხატვრო გალერეაში ტილოები განათავსეს, მაგრამ მიულოდნელად გადამწყვიტეს გამოფენა აღარ გაეხსნათ. ქალაქში ხმა უცებ გავრცელდა, გამოფენა აკრძალეს და ნამუშევრები უნდა გაიტანონ. ამას მოჰყვა ახალგაზრდების პროტესტი – ღამე საგამოფენო დარბაზთან გაატარეს, დილით ხალხი მოგროვდა, შეტეხეს კარი და იძულებული გახდნენ გამოფენა გაეხსნათ. გამოფენას დიდი ოვეცია, ლადოს საყოველთაო აღიარება და სიყვარული მოჰყვა. ამ გამოფენამ ესთეტიკურ სამყაროში ზღვარი გაავლო. დამთავალიერებულმა პირველად ნახა „საბჭოთა მხატვრის“ ნამუშევრები, რომელზეც ფოტოგრაფიული პორტრეტების ნაცვლად ადამიანების ნახევრად შიშველი სხეული ეხატა. სწორედ ამ გამოფენამ მოაზრუნა და მისცა უფლება ქართველ მხატვრებს, ესაბათი შიშველი ქალები. „არ მინახავს მანამდე რომელსამე გამოფენაზე ასეთი მღელვარე, შიშველი იატაკი, ადგილები, ვიყავით და მოვლოდნენ, მსჯელობდნენ, განიცდიდნენ“ – წერდა დამთავალიერებელი. შემდეგ გამოფენა მოსკოვში გადაიტანეს, სადაც ლადო კრტიკონებმა „მისტიკოს“ და „ეროტომან“ მხატვრად მონათესეს.

ლადოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რომელიც თბილისში, ეროვნულ გალერეაში გაიმართა, გამოფენილი იყო მისი ბოლო ნამუშევრები. დამთავალიერებელი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ 80 წლის მხატვარი ასე კარგად გრძნობდა და აღიქვამდა ქალის სხეულის სილამაზეს, ქალის მკერდს. ჩვენ არ უნდა შეგვრცხვეს ხელოვნებაში შიშვე

ლი ტანის. პატარა ბავშვებმაც უნდა იცოდნენ ვენერა მილოსელი, მიქელანჯელოს დავითი. შიშველი ტანი ხელოვნებაში ეს უდიდესი სილამაზაა. აუცილებელია, ბავშვები სკოლის ასაკიდანვე ვაზიაროთ ნატურას, იმიტომ რომ აქედან იბადება ჭეშმარიტი მსოფლმხედველობა. მინდა ახალგაზრდა, დამწყები მხატვრებს ვუთხრა: ახალგაზრდობა საოცრებაა! ნინათ თუ მხატვარი ხატავდა აკრძალულ თემას – მამაცი იყო. ახლა, ეს ყველაფერი დაშვებულია, არანაირი შეზღუდვები არ არის ხელოვნებაში. მთავარია, მოიტანო შენი სათქმელი, ინდივიდუალური ფორმა. თუ ამას შეძლებ, მაშინ ხარ მხატვარი. დამთავალიერებელი გამოფენიდან რომ გამოვა, გაჰყვება შთაბეჭდილებები და მეორე დღეს გაიფიქრებს, რა საინტერესო სამყარო ვნახე... აი, ეს არის ნამდვილი შემოქმედება, დიდი ნიჭი და ამას ყველაფერს ჰქვია – ბედნიერება!

გუდამაყის და ფიროსმანი

ლადოს ძალიან მოსწონდა და უყვარდა ფიროსმანი, როგორც მოვლენა – მისი მხატვრობა, თავისებურება, მსოფლმხედველობა. რასაკვირველია, ფიროსმანმა დიდი გავლენა იქონია ლადოზე, მაგრამ არა მის მხატვრულ ფორმაზე. ლადოს შემოქმედებაში ფიროსმანის ხაზი მკვეთრად იხსება. მამას ნამუშევარი „ფიროსმანის სიკვდილი“ შედეგია. სახლში გვაქვს დაუშთავრებული ნამუშევრები, რომლებიც



ბიკ ფიროსმანს ეძღვნება: „მარგარიტა“ და „ფიროსმანის ზანაბა“.

„მე მას რამდენჯერმე პირადად შევხვდი. მაღალი კაცი იყო, შეჭალარავებული, უკან გადავარცხნილი თმა ჰქონდა. ფერმკრთალსა და მოტყუილს სახესთან სდევდა რალანარი კეთილშობილური, მე ვიტყვი, ინტელიგენტური იერი და სიმშვიდე. წვერი შეკრებილი ჰქონდა და უღვაში ქვეციტა დაფეხული. ეცვა ნაცრისფერი პიჯაკი და სქელი, საღებავებით დასერილი შარვალი.“

მახსოვს, ერთხელ შევიყვანეთ მხატვართა საზოგადოების კრებაზე. მკერდზე გულხელდაკრეფილი იჯდა და გარინდებული და გაქვავებული ერთ წერტილს მისწერებოდა. სახე ფარულ სიხარულსა და გაკვირვებას გამოხატავდა. ასე იჯდა მთელი სხდომის განმავლობაში და ხმა არ გაუღია. სხდომის გათავების შემდეგ შემოეხვივნენ მხატვრები და დაუწყეს გამოკითხვა. პასუხს იძლეოდა მოკლე, ლაპარაკობდა ცოტას. დაინტერესდა ორატორებით. „ჰოდა, რა გვინდა, მშობი, იცით? – თქვა მან, – ...უსათუოდ საჭიროა ავაშენოთ დიდი სახლი, რომ შევიყარნეთ ხოლმე, ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამოვარი, ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ მხატვრობაზე. თქვენ კი ეს არ გინდათ, თქვენ სულ სხვას ლაპარაკობთ.“

გუდამაყის სახელოსნო

მის სახელოსნოში ყოველდღე იბადებოდა ახალი ხაზი, ფერი, ნახატი, კომპოზიცია, სურათი. ყოველთვის მეგონა, რომ ყველა შემოქმედი ისე ხატავდა, როგორც ლადო. მისი მუშაობის პროცესი საოცრად ამალღებული იყო. უყვარდა კარგი მუსიკა, ჯაზი და ამ შესანიშნავი მუსიკის ფონზე ქმნიდა ნამუშევრებს. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი თანამედროვე მუ-

სიკა რომ მოესმინა, მასში ახალ შემოქმედებით ლერძს დაბადებდა. ხატავდა მხატვრობის ყოველგვარი წესების გარეშე. მისი მეგობარი, არაჩვეულებრივი მხატვარი სოლოკო ვირსალაძე ამბობდა: ლადო ისე ხატავს, ფანქარს ფურცლიდან ნახატის დასრულებამდე არ იღებს და საშლელს საერთოდ არ ხმარობსო. თუ ნახატი არ მოენონებოდა ან როგორც მხატვარი, ვერ გადაწყვეტდა რაიმე პრობლემას, მაშინვე მოხსნიდა მოლბერტიდან, მიაბრუნებდა და ისე დადებდა. მოგვიანებით, აუცილებლად მიუბრუნდებოდა. ძალიან ადრე დგებოდა და ბევრს მუშაობდა. მამა საოცარი ესთეტი იყო, ძალიან არტისტული გარეგნობა ჰქონდა. უყვარდა კობტაე ჩაცმა, დადიოდა რომაული სანდლებით და მოხვეული შარავით. ლადო შესანიშნავად ცეკვავდა. ძალიან უყვარდა მეგობრებთან ერთად ქუჩაში სეირნობა.

მე ისე ვარ ჩაძირული ლადოს უმწვენიერეს სამყაროში, რომ ჩემთვის მამას ყოველი ნამუშევარი დროის გარკვეულ მონაკვეთს ნიშნავს. მისი შემოქმედება რამდენიმე ციკლს მოიცავს. შემოქმედების პირველი წლების თემატიკა, ერთი მხრივ, ძველი თბილისის ბოჰემური ცხოვრების სცენები, მეორე მხრივ – საქართველოს წარსულის მიერ შთაგონებული ლეგენდები და სიუჟეტები. პარიზიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თემატიკა ფართოვდება. მის

იურიტიკის კონსულტაცია

რა ფუნქციები აქვს მასწავლებლის მადიებას?

ა) მადიებლობის პერიოდის დასაწყისში მადიებელი ეცნობა მენტორს, სკოლის ხელმძღვანელს, დირექციასა და მასწავლებლებს;

რა ფუნქციები აქვს მენტორ მასწავლებელს?

ა) მენტორ მასწავლებელი ხელმძღვანელობს და წარმართავს მადიებლობის პროცესს;

რა მუშის ხასიათს აქვს მასწავლებლის მადიებლობის პროცესს?

ა) მენტორ მასწავლებელი ხელმძღვანელობს და წარმართავს მადიებლობის პროცესს;

რა განსაკუთრებული მუშაობა აქვს მენტორს მადიებლობის პროცესში?

ა) მენტორ მასწავლებელი ხელმძღვანელობს და წარმართავს მადიებლობის პროცესს;

ბ) მადიებლობის პერიოდის დასაწყისში მადიებელი ეცნობა მენტორს, სკოლის ხელმძღვანელს, დირექციასა და მასწავლებლებს;

გ) მენტორს აქვს მადიებლობის პროცესში მონაწილეობის უფლება და მადიებლობის პროცესში მონაწილეობის უფლება;

დ) მენტორს აქვს მადიებლობის პროცესში მონაწილეობის უფლება და მადიებლობის პროცესში მონაწილეობის უფლება;

ე) მენტორს აქვს მადიებლობის პროცესში მონაწილეობის უფლება და მადიებლობის პროცესში მონაწილეობის უფლება;

ვ) მენტორს აქვს მადიებლობის პროცესში მონაწილეობის უფლება და მადიებლობის პროცესში მონაწილეობის უფლება;

ზ) მენტორს აქვს მადიებლობის პროცესში მონაწილეობის უფლება და მადიებლობის პროცესში მონაწილეობის უფლება;

თამაროვის დღესასწაული



არც ძმები - შალვა და ივანე ახალციხელების (თორღნი) ხსენება დავიწყებათ.

ახალციხის ი. ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლის IV კლასში ჩატარდა ღონისძიება, რომელიც მიძღვნილი იყო მეფეთა მეფის, მზეთა მზის, დედოფალთა დედოფლის თამარისადმი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

ბას ახმარდა. ძლიერდებოდა მხედრობა. ღონიერ საქართველოს მტრები ვერაფერს უბედავდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ იგივე ხდება დღეს. შენდება და ლამაზდება მთელი საქართველო და იმედია, დაგვიდგება თამარისდროინდელი „ოქროს ხანა“, რაზეც ოცნებობენ ჩვენი პატარები.

„დალოცე, ღმერთო, ადამის-ძე, დალოცე ხალხი!“ - ღონისძიების დამთავრების შემდეგ მათ არ დავიწყებიათ, რომ მეოთხე კლასს ამთავრებდნენ და პედაგოგს გამოსამშვიდობებელი სიტყვა უთხრეს და დაპირდნენ, რომ ასახელებენ სწავლით, ქცევით, მამულისმშენებლობით...

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

მადია მერაბიშვილი დანყებითი კლასების პედაგოგი

ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს

11 მაისს, ახალციხის №3 საჯარო სკოლაში, საზეიმო განწყობა იგრძნობოდა. სააქტო დარბაზი ყვავილებითა და ბუმბუტებით იყო მორთული.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი თინათინა მერაბიშვილი, კათედრის ხელმძღვანელი რიტა კირიკიტაძე, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და სხვ.

ირმა გვიშიათი ქართული ენის პედაგოგი



თამარ ავალიანი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურიტიკი

კელაბობი - აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია

მსოფლიოს ბევრ სხვა სახელმწიფოთა მსგავსად, ბოლო წლებში ჩვენთანაც იკვეთება იმის აუცილებლობა, რომ დემოკრატიული პროცესების განვითარებაში, ახალგაზრდების სრულფასოვან მოქალაქეებად აღზრდისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართვისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და პრობლემის დაძლევა შესაძლებელია სამოქალაქო განათლებით.

ორიოდე თვის წინ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კავკასიის მისიის დირექტორმა **სტივენ ჰეიკენმა** თბილისში პედაგოგებთან გამართულ ერთ-ერთ კონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნა: „სამოქალაქო განათლების როლი დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროცესში მით უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ქვეყანა პოლიტიკური მოვლენის - არჩევნების მოლოდინშია. წინასწარჩვენო პერიოდში და შემდგომაც, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების აქტივობასა და მოქალაქეთა პირველ რიგში, აქტიური პოზიციის მოქალაქეებით, ჯერჯერობით, კიდევ ჩანს. ნიჟილიზმი, დაუდევრობა, სხვისი ხელის შეწყობა, სხვისი ტყვიის გაუზიარებლობა, „ჩემსა“ და „ჩვენს“ შორის უფსკრულის არსებობა თვალსაჩინოა არა მარტო როგორც ერის გენეტიკური მახასიათებელი, არამედ როგორც ჩვენი დროისა და დროის მოთხოვნათა სწორად ვერაღქმის ნიშანი.

კონსტიტუციით ნაბოძები და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ გაცხადებული სამოქალაქო, პოლიტიკურ-სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები თითოეულ ადამიანსა და მთლიანად საზოგადოებას მოვალეობის განცდასაც უნდა უჩენდეს, მაგრამ...

ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურიდან მოვალეობისა და პასუხისმგებლობის უგულვებელყოფის უამრავი ეპიზოდიდან და მაგალითიდან ერთს გამოვიტან მკითხველთა სამსჯავროზე.

ნავატანე ხელი, მერე მომეშველენ ჩემი ქართველი მასპინძლები და იგრძნეს უხერხულობა...

დასკვნა: მომავალი თაობები მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა აღვზარდოთ.

„კაცმან უნდა თავის საქმე, ყველა ღვთისა მოივარდოს, სახელის ხე საჩრდილობად, წყლისა პირსა სამე დარგოს“

მეფე ვახტანგ მეექვსის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან აღებული ეს პოეტურ-ფილოსოფიური სტრიქონები ჰქონდა დევიზად რუსთავის მე-2 საჯარო სკოლაში, პედაგოგ **ბელა ჯანგიძე-გოცირიძის** მიერ IX-X კლასებში ჩატარებულ ღონისძიებას სამოქალაქო განათლებაში. ღონისძიებაზე საგანგებოდ იყვნენ მონაწილე სტუმრები: მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის ტაძრის დეკანოზი **მამა მიქაელი**, უნარშეზღუდული აღსაზრდელების ცენტრის დირექტორი **ნანა ზერეციძე**, მოხუცთა თავმჯდომარის დირექტორი **მალხაზ კვინიკაძე**, სტუდია „გუთნის“ თანამშრომელი **ლევან მაძღარაშვილი**, ფილმების - „საქართველოს ხერხემალი“ - ციკლის ერთ-ერთი ავტორი **ზვიად სეხნიაშვილი**, „სიქას“ (საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული აქტივობა) კოორდინატორი **ანი ციციშვილი**.

ღონისძიებას, ასევე, სტუმრობდნენ შვილობილი კერძო სკოლის - „მზეკაბანის“ IX-X-კლასელები სამოქალაქო განათლების პედაგოგებთან ერთად.

მე-2 საჯარო სკოლა საქართველოში მოქმედ იმ 740 სკოლათა შორისაა, რომლებიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით მოქმედ პროგრამაში მონაწილეობენ. ამ პროგრამას, რომლის მიზანია დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლისა და განვითარებისათვის ქმედითი გარემოს უზრუნველყოფა, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა შესაძლებლობების განვითარება და მათი საქმიანობის ხელშეწყობა, მხარს უჭერს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო.

საწყისი პერიოდიდანვე პროგრამის აქტიური მონაწილე გახდა სამოქალაქო საგნის პედაგოგი ბელა ჯანგიძე, რომელმაც სკოლაში



ჩამოაყალიბა სამოქალაქო განათლების კლუბი, სახელწოდებით - „სუპერვიზია“ (62 აქტიური მოსწავლეთი). მიზანი თავიდანვე დაკონკრეტდა. თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთად პირადი ინიციატივებით სასიკეთო საქმე უნდა ეკეთებინა. ასეც მოხდა.

მოსწავლეები პედაგოგთან ერთად ესტუმრნენ მოხუცთა თავმჯდომარის **ზვიად სეხნიაშვილს**, უნარშეზღუდული აღსაზრდელების საგანმანათლებლო ცენტრს, ჩაატარეს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიება დევიზით - „გაუფთოთ ერთმანეთს გულები“; ამას გარდა, დაათვალთვინეს პარლამენტის შენობა, პრეზიდენტის სასახლე, შექმნეს თავიანთი კლუბის ბლოგი, ფეისბუქში - თავიანთი საქმიანობის ამსახველი გვერდი, მოამზადეს უამრავი კედლის გაზეთი, გამოუშვეს ბუკლეტები, ფოტოსტენდები, დღიურები...

... და ისევ ღონისძიება. ილიას დევიზი:

„კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღესა შენს თავს“

ჰკითხო -

აბა, მე დღეს ვის რა ვარგე“.

და ტატო ბარათაშვილის ფილოსოფიური წეს-დევოზი:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“

- ღონისძიების ლაიტმოტივი იყო. იმპროვიზებული, შემოქმედები-

თი პროცესის მონაწილე მოსწავლეები და მასწავლებელი ერთმანეთს აზროვნებაში და ცოდნაში ეჯიბრებოდნენ.

წარმოდგენილ თვალსაჩინოებათა შორის სტუმრების ყურადღება მიიქცია სახელის ხემ, რომლის თითოეულ ფოთოლს ერისთვის სასიქადულო პროგრენების სახელი ეწერა. მათ შესახებ ამომწურავად საუბრობდნენ მოსწავლეები.

ღონისძიებას ორი მხარე ჰქონდა - სანახაობით და აკადემიურით, რამაც აშკარად აჩვენა ის, ქალაქის ამ ერთ დიდ და ისტორიულ, ძველ საჯარო სკოლაში მაღალი პასუხისმგებლობით, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე შეისწავლება საგანი - სამოქალაქო განათლება.

მონაწილმა სტუმრებმა პედაგოგის გამარჯვებულ სწორედ ის ჩათვალეს, რომ სადღესო ეროვნული პრობლემების, საზოგადოების ტყვიის ნიშნად მონაწილეთ მან აშკარად წარმოაჩინა მოქალაქეობრივი პოზიცია, პიროვნული განწყობა და პედაგოგიური შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონმა ბელა ჯანგიძემ მე-2 საჯარო სკოლის ბიოგრაფია უდიდესი სიყვარული გააცოცხლა წიგნში „ვექმენ გულისა“, რომელიც ღონისძიების მონაწილეებს საჩუქრად გადასცა.

ლია მარტაშვილი



ლაქეთა ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“.

საქართველოში წინასწარჩვენო პერიოდაა, ამ უმნიშვნელოვანესი პროცესისათვის დამახასიათებელი განწყობით, შეხვედრებით, გადანაცვებულებებითა და წინააღმდეგობებით.

დემოკრატიის მშენებარე საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება თავისი დამახასიათებელი ნიშ-

გერმანიიდან ჩამობრძანებული ქალბატონი მიამობდა: „ჩემს თბილისელ მასპინძლებთან ერთად ერთ-ერთ ქუჩაზე ყოველ დღე გვიხდებოდა მანქანით გავლა. გზაზე, უშველებელი ბლოკები ეყარა, რაც მანქანებს საავტორო საფრთხეს უქმნიდა. არც ერთ მძღოლს არ გასჩენია სურვილი, ბლოკები გადაეწყო. ეს საქმე მე ვითავუ. ავნიე ერთი და ძლივს გადავიტანე, მეორესაც რომ

პაუას უკვდავება

18 მაისი თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტში დიდი ზეიმით აღინიშნა. დღის 2 საათზე უნივერსიტეტის დარბაზი მსმენელებით აივსო.

საოცრად ამაღლებული განწყობა სუფევდა დარბაზში ზეიმის დანყები-სას.

სტუდენტთა დარბაზის ინიციატივითა და ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლის, ქალბატონ **ლიანა ხმალაძის** ძალისხმევითა და მონდომებით გაიმართა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა **ნუგზარ წერეთელმა**.

ამ საღამოზე უნივერსიტეტის სტუდენტებთან და ლექტორებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს და ვაჟას შემოქმედებაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: **იუზა ევგენიძე, ლადო მინაშვილი, თეიმურაზ ქურდოვანიძე**.

მომხსენებლის შემდეგ ლიტერატურულ საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ უნივერსიტეტის ლექტორები: **ლ. ხმალაძე, ი. ჭავჭავაძე, თ. გელაშვილი, ც. ბუკია**.

უნივერსიტეტის სტუდენტებმა წაიკითხეს უკვდავი ვაჟას ლექსები და პოემები, რითაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს დარბაზში მყოფ პროფესორ-მასწავლებლებზე, სტუმრებსა და სტუდენტებზე.

დასასრულ, უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ამირან მექვაბიშვილმა** მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორებს, მონაწილე სტუდენტებს ამ საინტერესო ღონისძიების მონაწილეთათვის.

წმნა მასაძე

უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზის ხელმძღვანელი



სპორტი

უნივერსიადა-2012

15 მაისს დაიწყო და 12 ივნისამდე გასტანს საქართველოს სტუდენტური „უნივერსიადა-1012“, რომლის ორგანიზატორიც, ძველბურთის ფედერაციაა. სპორტულ ღონისძიებას ასევე ძველი გენერალური სპონსორი – „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ აფინანსებს, ხოლო მხარდამჭერი კვლავაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროა.

უნივერსიადის პროგრამაში სპორტის 22 სახეობაა: ძიუდო, „თავისუფალი“, ბერძნულ-რომაული და ქართული ჭიდაობები, სამბო, ბადმინტონი, ხელბურთი, ცურვა, ტაეკვანდო, კარატე, ჭადრაკი, მძლეოსნობა, მკლავჭიდი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, შვიდკაც რაგბი, ფრენბურთი, ძალისმიერი სამჭიდი, ქუჩის კალათბურთი, მშვილდოსნობა, სროლა და კრივი. ღონისძიებაში ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს, თუმცა თამაშების უმეტესობა დედაქალაქში გაიმართება. რეგიონებიდან მხოლოდ კრივში შეჯიბრებს უმაღლეს დონის კრივის დარბაზი. თბილისში ასპარეზობების ნაწილი ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების (ტექნიკური, ივანე ჯავახიშვილის, ილიას, საქართველოს, შავი ზღვის უნივერსიტეტები და სხვ.) სპორტულ ბაზებზე ჩატარდება, ნაწილს კი ქვეყნის ცენტრალური სპორტული ბაზები უმასპინძლებენ.

უკვე გაიმართა შეჯიბრებები რამდენიმე სახეობაში. წლევანდელი უნივერსიადა ძიუდოსტებმა გახსნეს, რომლებმაც ჩემპიონ-მედალოსნები მეორე დღეს – 16 მაისს გამოავლინეს ძიუდოს აკადემიაში. მედალოსანთა შორის ბევრი ცნობილი ფალავანი მოხვდა, რომლებსაც ასაკობრივ ნაკრებებში ევროპისა თუ მსოფლიოს პირველობებზეც მოუპოვებათა ჯილდოები, ხოლო გორელი **პაატა მერეზაშვილი** (66) 20 და 23-წლიანთა შორის ევროპის ჩემპიონიცაა და ეროვნულ ნაკრებში მსოფლიოს თასებზეც გაუმარჯვია. აღსანიშნავია, რომ უნივერსიადაზე ეს მისი ერთადერთი მიღწევა არაა – ქართულ ჭიდაობაშიც მოიპოვა ოქროს მედალი. მერეზაშვილის გარდა, ძიუდოში უნივერსიადის ჩემპიონები **გიორგი ბროლაშვილი** (60, სტუ), **არჩილ უსტარაშვილი** (73, აგარაული), **შალვა ნინიძე** (81, საავიაციო), **იასონ ნემსაძე** (90, ქუთაისი), **გიორგი ქავთარაძე** (100, ილიაუნი), **გიორგი კალაძე** (+100, სამედიცინო) გახდნენ. გუნდურ პირველობაში სტუ-მ გაიმარჯვა, მეორეზე გორის უნივერსიტეტი გავიდა, მესამეზე – აგარაული.

საჭიდაო სახეობებიდან, სამბოს გარდა, ყველაში გაიმართა შეჯიბრებები და ტიტულოვანი ფალავნები იქაც ბევრი ვიხილეთ. რომ არა ეროვნული გუნდების წინა საოლიმპიადო მზადების დასკვნითი ეტაპი, კიდევ



უფრო მეტს ვნახავდით, მაგრამ ნამყვან ფალავანთა უმეტესობა ახლა სწორედ საოლიმპიადო სამზადისათა დაკავებული. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს: ბათუმელმა სტუდენტებმა – **სპარტაკ ცეცხლაძემ** (60) და **ირაკლი შანთაძემ** (66), სტუ-ს წარმომადგენლებმა – **გიორგი დათუნაშვილმა** (74) და **რუდოლფ ოგანეზოვმა** (84), აგარაულის სტუდენტმა **გიორგი კვიციანიშვილმა** (120). საინტერესოა, რომ კვიციანიშვილი რეალურად „თავისუფალის“ მოჭიდავეა და უნივერსიადაზე იქაც გამოვიდა, თუმცა მესამეზე გავიდა. „თავისუფალში“ ოქროს მედალები მოიპოვეს: **გიორგი ლამბაშიძემ** (55, სოხუმი), **კოტე ხუციშვილმა** (60, გორი), **დიმიტრი ბასიაშვილმა** (66, სტუ), **ზვიად მეკვიძემ** (74, ბათუმი), **ლევან ანზორის ძე გოგრიჭიანი** (84, სეუ), **გიორგი მეშვილდიშვილმა** (96, სტუ) და **ლევან თენგიზის ძე გოგრიჭიანი** (120, სეუ). გუნდურში აგარაულმა უნივერსიტეტმა გაიმარჯვა, რომელსაც ბათუმი და სტუ მიჰყვნენ.

ქართულ ჭიდაობაში ძირითადად სამბისტები, ძიუდოსტები და „თავისუფლად“ მოჭიდავეები გამოვიდნენ. როგორც ზემოთ ვთხარით, აქ მერეზაშვილმაც იჭიდავა, რომელიც ლამის უკონკურენტო იყო – სადაც იასპარეზა, ყველგან გაიმარჯვა. დანარჩენ ნონებში გაიმარჯვეს: **თორნიკე კაპანაძემ** (55, სამედიცინო), **ვანო თოთლაძემ** (70, სტუ), **თორნიკე ჯუღელმა** (75, სტუ), **გიორგი ბიჩელაშვილმა** (80, ილიაუნი), **გიორგი კობაიძემ** (90, ილიაუნი) და **გიორგი ზაქარაიძემ** (+90,

სტუ). გუნდურში სტუ-მ გაიმარჯვა, რომელმაც მცირე სხვაობით ჩამოიტოვა აგარაული და ილიას უნივერსიტეტი.

უნივერსიადაში ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების უცხოელი სტუდენტებიც მონაწილეობენ. მაგალითად ბადმინტონში ინდოელიებმა იასპარეზეს და სამშობლოს რეპუტა-



ცია ღირსეულად დაიცვეს – არც ჩემპიონობა დაუთმეს მასპინძლებს და ექვსიდან ოთხი მედალიც მათ მოიპოვეს. გოგონებში სამედიცინოს სტუდენტმა **საჩინი გიჯია აკულათილამ** გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში სტუ-ელ **ანა მუჭერიას** მოუგო, მესამეზე კი საჩინის მიერ ნახევარფინალში ძღუული კიდევ ერთი მომავალი ინდოელი ექიმი **გვინა აჯაია ბჰატი** გავიდა. ვაჟების ფინალში ერთმანეთს ასევე სამედიცინოს სტუდენტი ინდოელები შეხვდნენ – **თარინდუ ნაინავით გუნასირიმ** დაამარცხა **ტრიბედერ სინგპი**. აქ ჩვენებს მხოლოდ ბრინჯაო ერგოთ – მესამეზე **ნიკა გოგრიჭიშვილი** (საქართველოს უნივერსიტეტი) გავიდა.

ხელბურთში სტუ-მ გაიმარჯვა, რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში ქართული ხელბურთის ცენტრია. ფინალში ტექნიკოსებმა თსუ-ს 36:26 მოუგეს, მესამეზე გავიდა სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი, სადაც სპორტის ეს სახეობა ნელ-ნელა იკიდებს ფეხს. ბრინჯაოსთვის შეხვედრაში მათ საქართველოს უნივერსიტეტს 38:35 სძლიეს.

22 მაისის მონაცემებით, უნივერსიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში სტუ ლიდერობს – მის ანგარიშზე 9 ოქრო და 5-5 ვერცხლ-ბრინჯაო, სულ 19 მედალი; მეორეზე სამედიცინო უნივერსიტეტი 11 მედალი – 4 ოქრო, 1 ვერცხლი და 6 ბრინჯაო; მესამეზე გორის უნივერსიტეტი 7 მედალი, რომელთაგანაც 3 ოქროა და 4 – ვერცხლი.

მძლეოსანთა სტარტები

სხვებთან ერთად მძლეოსნებიც ემზადებიან თბილისში 2015 წელს გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის – 1997-98 წლებში დაბადებულთა შორის რამდენიმე ტურნირი ჩატარდა, რომელთა მიხედვითაც ამ ასაკის ნაკრები შეირ-



ჩა. ისინი ფესტივალისთვის გააგრძელებენ მზადებას.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება ამ დღებშიც გაიმართა თბილისში, რომელიც მძლეოსნობის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. შეჯიბრებამ ახალი თაობის წინსვლა კიდევ ერთხელ დაადასტურა და რამდენიმე ნიჭიერი ათლეტიც წარმოაჩინა. უპირველესად, დედაქალაქის 74-ე საჯარო სკოლის მერვეკლასელი ბადროს მტყორცნელი **თემურ აბულაშვილი**, რომელმაც სფერო 54.1-ზე გადააგდო. აღსანიშნავია, რომ მან ერთი კვირის წინ, თბილისის ღია პირველობაზეც იასპარეზა და იქ 53.78 აჩვენა, დროის მოკლე მონაკვეთში კი შედეგი ასე გააუმჯობესა, რაც 14-წლიანთა შორის მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებელია. არადა, სულ ორი წელიწადია, რაც ამ სახეობაში ვარჯიშობს **გივი ბედოშვილთან**. მწვრთნელი სწუხს, სტაბილური სავარჯიშო ადგილი არ გვაქვს, თორემ უკეთესი მაჩვენებელი გვექნებოდა.

ბოლო ერთ კვირაში სიმაღლეზე ხტომაში 7 სანტიმეტრით გააუმჯობესა შედეგი თბილისელმა **ქრისტინე ზოლოტუხინამ** – ამჯერად 152-ზე გადებულ თამასას გადაეცლო. მოგვიანებით ბირთვის კვრამაც გამოვიდა და 8.89-ით მეორე იყო – მხოლოდ 8.91-იან ქუთაისელ **მარიამ ალექსეევას** ჩამორჩა. ორი ოქრო მოიპოვეს ვანელმა **მარიამ ძაგნიძემ** (50 მ/თ; 8.1 სიგრძეზე ხტომაში, 5.19.

მან ვანის ნაკრების შემადგენლობაში ბრინჯაო მოიპოვა 4x50-ზე ამანატორებში) და ქუთაისელმა **ნანი სირაძემ** – 100 მ-იანი დისტანცია 12.7-ში გაიბრინა, სამხტომში კი 9.60-ით გაიმარჯვა. გამარჯვებულის კვარცხლბეკზე სამჯერ ავიდა ქუთაისელი **გოგა მძლეაქელიძე** – 100 მ/თ 15.3-ში დაფარა, სიმაღლეზე ხტომაში 155 სანტიმეტრი დასძლია, ბოლოს კი, 4x50-ზე თარგზებში ქუთაისელთა გამარჯვებაშიც დიდი წვლილი შეიტანა.

გოგონებში, სხვა დისტანციებიდან, 1000 მეტრზე სირბილში ახალციხელმა **დიანა ჯინისიანმა** გაიმარჯვა, ბადრო ყველაზე შორს – 35.36-ზე თბილისელმა **ნინო წიქვაძემ** გადააგდო, შუბი ყველაზე შორს **ირეზიაშვილმა** მოისროლა, ურო – **სოფო მათიაშვილმა** (ორივე – თბილისი). ვაჟებში 100-მეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად ხობელმა **გრიგოლ ახალაიამ** გაიბრინა – 12.0, 1000-იანი – ახალციხელმა **რუდიკ მინასიანმა** 2.54.6-ით, სამხტომში – ქუთაისელმა **საბა კურდელიამ** გაიმარჯვა 11.62-ით; ბირთვის კვრამში გორელმა **გიორგი მუჯარიძემ** იმარჯვა, შუბი კი ყველაზე შორს ხონელმა **გიორგი კეთილაძემ** გადააგდო; ურო სხვებზე უფრო შორს თბილისელმა **გიორგი ტყემალაძემ** მოისროლა, ჭოკით ხტომაში კი ასევე თბილისელმა **ლაშა ქარქუსაშვილმა** იმარჯვა.

უმცროსი ასაკის ჭაბუკთა გარდა, ახალგაზრდებსა და უფროსი ასაკის ჭაბუკებსაც

საკმაოდ კარგი წარმატებები აქვთ. ილიას უნივერსიტეტის მეოთხეკურსელმა **ზურაბ გოგოჭურმა** 1984 წელს სიმაღლეზე ხტომაში დამყარებული საქართველოს რეკორდი 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა – 224-ზე გადებულ თამასას გადაახტა. მას ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვების კარგი შანსი აქვს – საამისოდ შედეგის, სულ რაღაც, 4 სანტიმეტრით გაზრდა სჭირდება, რასაც სულ მალე სტამბოლში შეეცდება. აღსანიშნავია, რომ გოგოჭურმა წლეულს ასევე საკმაოდ „ასაკოვანი“ საქართველოს ზამთრის რეკორდიც დაამყარა.

ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ სამხტომელები – **ლაშა ლულელაური**, **თათია პაიკიძე** და სპრინტერი **ბაჩანა ხორავა**. ბოლო ხანებში მათ ასტანაში იასპარეზეს ახალგაზრდობის საერთაშორისო ტურნირში, სადაც ხორავამ 200-მეტრიანი დისტანცია მოიგო, ლულელაური 16.35-ით მეორეზე გავიდა, პაიკიძე კი 12.97-ით – მესამეზე. ამ შედეგებით ლულელაურმა და პაიკიძემ 5-10 ივლისს ბარსელონაში გასამართი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურებიც მოიპოვეს.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თაყაძე

სიასლა!



კლასიკური პოეზია



სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42x59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძარტველი

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4x84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საძარტველები
6. ძველწარმოებები საძარტველოში
7. საძარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიღაბი - სიცოცხლის წყარო
11. ქველი რომი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინოზავრები
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. საფხაროს წარმოშობა
16. ძარტველი მემორის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34x47 სმ)

- | | | |
|--------------------------|--------------------------|------------------------|
| 1. მიხეილ ჯავახიშვილი | 10. იოსებ ბრიჯაშვილი | 19. აკაკი წერეთელი |
| 2. ბიურგი ლეონიძე | 11. პოლიქარპე კაკაბაძე | 20. რუსთაველი |
| 3. ირაკლი აბაშიძე | 12. გურამ რჩეულიშვილი | 21. ვაჟა-ფშაველა |
| 4. ნოდარ დუმბაძე | 13. იაკოვ ხუცესი | 22. თეიმურაზ I |
| 5. მირზა ბელოუზანი | 14. ივანე სებასტიანი | 23. ვახტანგ VI |
| 6. აკაკი ბაქრაძე | 15. დავით გურამიშვილი | 24. ბიურგი მერაბული |
| 7. ვასილ ბარნოვი | 16. ზესიძე | 25. ბრიგოლ ორბელიანი |
| 8. პაულუ იაშვილი | 17. რევაზ ინანიშვილი | 26. დავით აღმაშენებელი |
| 9. სულხან-საბა ორბელიანი | 18. ალექსანდრე ჭავჭავაძე | 27. გურამ ასათიანი |

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეკროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

- | | |
|--|---|
| 1. ცისფერი ბალერინები - დეა | 7. დელფოსელი სივილა - მიქელანჯელო |
| 2. ჰორაციუსის ფიცი - შაკ-ლუი დავიდი | 8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე |
| 3. მწყობრთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო | 9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი |
| 4. ადელ პლუხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი | 10. სამანელა - რენუარი |
| 5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რაინი | 11. საპირბო გუსეირნება, გრან-შატის კუნძულები - შორჟ სიორა |
| 6. მენინები - ველასკესი | |

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ქართველი მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-IV ტომი, - 11 ლარი
- ❖ ალექსანდრე ყაზვბეგი (2-ტომიანი), I-II ტომი, - 11 ლარი
- ❖ მინაილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუა (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ელიზბარ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, II, III, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭავჭავაძე (9-ტომიანი), I-IV ტომი - 12 ლარი
- ❖ გრიგოლ აბაშიანი (6-ტომიანი), I-II ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტიან იოსელიანი (10-ტომიანი), I-IX ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-IV ტომი - 13 ლარი


მითითებულია თითო ტომის ფასი

გამოცემა „ეოგენა“ და მათ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ ჩვენი შემოთავაზებით.

გამორჩეულ წიგნებს და მიიღეთ სპეციალური ფასად



საყვანვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~


17 ლარი



საყვანვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი



კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის ავტორი თამაზ ვასაძე

11 ლარი



მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი თამარ ბეროზაშვილი „პარტული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი

„ახალი განათლება“ წიგნის ტანკო

მიმდინარეობს ხელმომწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია იმდენივე ხელმომწერა!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

032 295 80 23; 0790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმომწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:


მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

შედეგები





მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია ~~45~~ 35 ლარი
საყვანვილო ცხოველთა ენციკლოპედია ~~30~~ 26 ლარი
ხელნაწილების ილუსტრირებული ისტორია ~~40~~ 30 ლარი


„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“ ერთი ტომი - 12 ლარი




- გუსტავ ფლობერი - მაღამ გოგონა
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა ბედნიერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მგობარი
- შოდერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები **ახალი**
- შტეფან ცვაიგი - მოუთმელოება გულისა **ახალი**
- მაინ რიდი - კვარტარონი **ახალი**



„რა არის რა“
50-ტომიანი.
ერთი ტომის ფასი
11 ლარი
გაყიდვაშია სერვის 27 ტომი



ორტომიანი ფასი 16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი ფასი 5,70 ლარი



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბატაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.

www.axaliganatleba.ge

E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >